საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 4 ნოემბერი, 2014 წელი.

№224 (7605)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ნუ დავაგდებთ ძველთა გზათა, ნურცა ხსოვნას წინაპართა! 4

ანუ რა სჯობს, აწყვეტილ რუსეთთან საქართველოს გაწყვეტამდე ჭიდილი, თუ?..

◎ ამას გაფრთხილება უნდა!

პატრიარქმა სოროსისტების „მეხუთე კოლონაში“ პანიკა გამოიწვია

უწმინდესის პასუხი ანტირუსებს 3

ყველაზე დიდი სიმდიდრის აღწერა

მილოონთა ბიოგრაფია

7

„საქართველომ უნდა გააცნობიეროს აზერბაიჯანის კარგი დამოკიდებულება და ჩვენი თანამემამულეების ინტერესები დაიცვას“ 3

სიცოცხლის ქომაგი



5

რეზო გაგუა – 70 წელი

ე.წ. ოდეერები მთავრობის კანცელარიასა და მერიაშიც მუშაობენ 2

გაერთიანებული საქეფოს პირველი ქართული სკოლა 6

იდგა 2000 წლის გაზაფხულის ლონდონისთვის იშვიათად ნათელი დღე. ქართველი საზოგადოება რუსული ეკლესიიდან (ქართული ტაძარი ჯერ არ იყო დაარსებული) მიიჩქაროდა კენსიგტონში მდებარე „Boath House-ში, სადაც ტარდებოდა პირველი ქართული ღონისძიება — სააღდგომო დღესასწაული.

სოციალურად დაუცველებს პენსია ეზრდებათ

მომავალი წლის პირველი სექტემბრიდან პენსია მხოლოდ სოციალურად დაუცველებს გაეზრდებათ. როგორც ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა, მაქსიმალური ზრდა 25 ლარი იქნება.

„დაფინანსება გაეზარდა ძალიან ბევრ უწყებას, მათ შორის ჯანდაცვის მიმართულება 25 მილიონით არის გაზრდილი, საიდანაც ნაწილი მოხმარდება სოციალურად დაუცველებისთვის პენსიის ზრდას. ზრდა ქულების მიხედვით მოხდება და მისი მაქსიმალური ოდენობა 25 ლარი იქნება. გაზრდილ პენსიას სოციალურად დაუცველები 1 სექტემბრიდან მიიღებენ“, — განაცხადა ხადურმა.

ფინანსთა მინისტრის განმარტებით, პენსიის ზრდა 2016 წელსაც მოხდება და ის უკვე ყველას შეეხება. ამასთან, ფინანსთა მინისტრის ინფორმაციით, მომავალი წლის ბიუჯეტი დაახლოებით 170 მილიონი ლარით გაიზარდა ბიუჯეტის პირველ ვარიანტთან შედარებით.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ინფორმაცია

მარგველაშვილი გაეროს კონფერენციას ესწრება

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ქალაქ ვენაში, „ზღვაზე გასასვლელის არმქონე განვითარებადი ქვეყნების“ გაეროს მეორე კონფერენციის გახსნის ოფიციალურ ცერემონიას ესწრება.

კონფერენცია გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა გახსნა და მას სხვადასხვა ქვეყნის ლიდერები ესწრებიან.

როგორც საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველმა ეკონომიკურ საკითხებში გიორგი აბაშიშვილმა განაცხადა, მნიშვნელოვანია კიდევ ერთხელ გაესვას ხაზი ყველა იმ უპირატესობას, რაც საქართველოს აქვს ზღვაზე გასასვლელის არმქონე ქვეყნებისთვის სატრანზიტო ფუნქციის განსახორციელებლად.

— ძალიან ბევრი ქვეყანა ჩვენს კონტინენტზე — 14-დან 8 სარგებლობს საქართველოს სატრანზიტო ფუნქციით. ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს საქართველოს მნიშვნელოვან როლს. უნდა ითქვას, რომ საქართველოს, ერთი მხრივ, შეუძლია ზღვაზე გასავლელის არმქონე ქვეყნების განვითარებაში, მეტ ეკონომიკურ ინტეგრაციაში მსოფლიო ეკონომიკურ სისტემასთან დიდი როლი ითამაშოს, მაგრამ, ამავდროულად, ეს თანამშრომლობა ეფუძნება ორმხრივ სარგებელს. ყველა ორმხივი თანამშრომლობა, რომელიც შეეხება საქართველოსა და ზღვაზე გასასვლელის არმქონე ქვეყანას, არის მეტი სტიმული საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის და ხელს შეუწყობს მეტი ინვესტიციების მოზიდვას ქვეყანაში“, — განაცხადა გიორგი აბაშიშვილმა.

მონტენეგროს პრეზიდენტი საქართველოს ესტუმრება

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ვენაში, გაეროს კონფერენციის ფარგლებში მონტენეგროს პრეზიდენტ ფილიპ ვუჟანოვიჩთან შეხვედრა გამართა.

მხარეებმა ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის საკითხები განიხილეს და პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების გაღრმავებაზე შეთანხმდნენ. აღინიშნა, რომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ევროინტეგრაციის პროცესში მონტენეგროს, როგორც ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის გამოცდილების გაზიარება. საუბარი შეეხო საქართველო-რუსეთის ურთიერთობასაც და ითქვა, რომ მიუხედავად საქართველოს კონსტრუქციული ნაბიჯებისა, რომელიც მიზნად ისახავდა რუსეთთან დაძაბულობის დეესკალაციას, რუსეთი აგრძელებს უკანონო პოლიტიკას საქართველოს წინააღმდეგ ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიის გზით. გიორგი მარგველაშვილმა მადლობა გადაუხადა ფილიპ ვუჟანოვიჩს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ურყევი მხარდაჭერისათვის.

საქართველოს პრეზიდენტმა მონტენეგროს პრეზიდენტი საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მოიწვია, რაზეც მან თანხმობა განაცხადა და აღნიშნა, რომ უახლოეს პერიოდში დაიწყებს მზადებას აღნიშნული ვიზიტისთვის.

თურქეთი საქართველოს ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორია

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თურქეთის დიდი ეროვნული მეჯლისის თავმჯდომარეს ჯემილ ჩიჩექს შეხვდა.

საუბრის ძირითადი თემები იყო ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავება, პარლამენტთაშორისი მეგობრობის ჯგუფების გააქტიურება და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, თურქეთი საქართველოს ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორია. ასევე, ხაზი გაესვა ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის მნიშვნელობას, რომელიც გააღრმავებს რეგიონულ თანამშრომლობას ტრანსპორტისა და ვაჭრობის სფეროებში.

პრემიერის განცხადებით, საქართველო თურქეთს საიმედო მოკავშირედ და სტრატეგიულ პარტნიორად განიხილავს და მის მხარდაჭერას ქვეყნის ევროატლანტიკური მისწრაფებებისადმი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

ირაკლი ღარიბაშვილმა თურქეთის პარლამენტის თავმჯდომარეს „თურქეთის საჯარო და კერძო სკოლებში ქართული ენის სწავლების შესახებ 2014-2015 წლებისთვის“ პროგრამის დამტკიცებისთვის მადლობა გადაუხადა.

შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ კულტურული მემკვიდრეობის სფეროში თურქეთთან თანამშრომლობა საქართველოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

◎ განათლება

პედაგოგთა ხელფასები 1 წლის შემდეგ 50 ლარით გაიზრდება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის თამარ სანიკიძის განცხადებით, რამდენიმე დღეში გადაწყდება პედაგოგების ხელფასის ზრდის საკითხი.

მისივე თქმით, ამისთვის კიდევ დამატებითი თანხები უნდა გამოიყოს. მთავრობა დღევანდელ სხდომაზე სწორედ 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საკითხს განიხილავს.

პირველი სექტემბრიდან დაგეგმილია საბაზისო ხელფასის ზრდა 50 ლარით და მაღალი კატეგორიის პედაგოგთა ხელფასის გაზრდა დაახლოებით 200 ლარით“.

მასწავლებელების ხელფასის გასაზრდელად დამატებითი ფინანსური რესურსის მოძიება მიმდინარეობდა, რომელიც ნოემბერში უნდა გადაწყვეტილიყო, ხოლო ხელფასების ზრდა იანვრიდან იყო დაგეგმილი.

2015 წლის ბიუჯეტის პროექტით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობისთვის გამოყოფილი თანხები ამ ეტაპზე 16 მილიონ ლარს შეადგენს. თუმცა, ამ თანხის ფარგლებში მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ხარისხის ამაღლებაა გათვალისწინებული.

სამინისტრო მუშაობს სპეციალურ სქემაზე, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს პედაგოგთა შეფასება და შეფასების მიხედვით განისაზღვრება მათი საკვალიფიკაციო საფეხური და საფეხურიდან საფეხურზე გადასვლა და, შესაბამისად, ხელფასების ზრდის საკითხი.

2015 წლიდან ეტაპობრივად მასწავლებლის სახელფასო პოლიტიკა უნდა მოწესრიგდეს, რაც 2016-2017 წლებშიც უნდა გაგრძელდეს.

ამასთან, მასწავლებელთა ხელფასები გარკვეული კატეგორიების მიხედვით დაიყოფა, გარკვეული მატება იქნება საბაზო ხელფასშიც, მაგრამ, ძირითადად, მატება განისაზღვრება კატეგორიების მიხედვით.

სქემით განისაზღვრება პედაგოგთა 4 საკვალიფიკაციო საფეხური — პრაქტიკოსი, უფროსი, წამყვანი და მეთოდისტი მასწავლებელი. ყველაფერს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება.

პრაქტიკოს მასწავლებელს ეძლევა სამი წელი იმისთვის, რომ დააგროვოს 24 კრედიტი და გახდეს წარჩინებული მასწავლებელი. კატეგორიის შესანარჩუნებლად უნდა დააგროვოს მინიმუმ 14 კრედიტი. წარჩინებულ მასწავლებელს ეძლევა 4 წელიწადი, რომ დააგროვოს 32 კრედიტი და გახდეს მკვლევარი მასწავლებელი ან დააგროვოს 24 კრედიტი კატეგორიის შესანარჩუნებლად. მკვლევარ მასწავლებელს ეძლევა 5 წელიწადი, რომ დააგროვოს 40კრედიტი ან დააგროვოს 32 კრედიტი კატეგორიის შესანარჩუნებლად.

შეფასების სისტემა განხილვის პროცესშია. ახალი სტანდარტის საფუძველზე შეიქმნება შეფასების სახელმძღვანელო, რომელიც იქნება ერთიანი როგორც თბილისის, ასევე,ვთქვათ, წალენჯიხის სკოლის პედაგოგისთვისაც, ანუ ერთი იქნება ყველა მასწავლებლისათვის.

ამ სახელმძღვანელოში გაწერილი იქნება პროცედურები და კრიტერიუმები, შეფასების რუბრიკები, როგორ და რამდენი კრედიტით უნდა შეფასდეს პედაგოგის სხვადასხვა აქტივობა.

რაც შეეხება გამოცდებს, სასერტიფიკაციო გამოცდები ორი ნაწილისგან შედგება, საგნობრივი და პროფესიული უნარების გამოცდა. საგნობრივი გამოცდა სქემაში დარჩება სავალდებულო გამოცდად, იმისათვის, რომ ყველაზე ქვედა საფეხურიდან ზემოთ გადაინაცვლოს პედაგოგობის მსურველმა თუ უკვე პედაგოგმა. ხოლო, პროფესიული უნარების გამოცდა ალტერნატივის სახით იქნება წარმოდგენილი, თუმცა, შესაძლებელი იქნება სხვა აქტივობებით დააგროვონ ე.წ კრედიტები, იმისათვის, რომ საფეხურიდან საფეხურზე გადაინაცვლოს მასწავლებელმა.

ამასთან, მოხდება მათი კიდევ ერთ კომპონენტში ჩართვა — ეს იქნება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება.

მარი მინაძე

◎ SIC!

ე.წ. ოდეერები მთავრობის კანცელარიასა და მერიაშიც მუშაობენ

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ ე.წ. ოდეერების შესახებ მორიგ ინფორმაციას აქვეყნებს, რომელშიც თბილისის მერიისა და მთავრობის კანცელარიის თანამშრომლებიც მოხვდნენ.

როგორც ორგანიზაციის კვლევაშია აღნიშნული, საბჭოთა კავშირის დროს „ოდეერებს“ სხვადასხვა უწყებაში უშიშროების სამინისტრო ნიშნავდა. ეს პრაქტიკა ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში შენარჩუნდა და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდშიც გრძელდება.

მათივე ინფორმაციით, „ოდეერია“ დანიშნული თბილისის მერიაში — არჩილ ბებიაშვილი. ის თბილისის ახლად არჩეული მერის დავით ნარმანიას ადმინისტრაციის აპარატში მრჩევლის თანამდებობაზე დროებით მოვალეობის შემსრულებლად მუშაობს.

არჩილ ბებიაშვილი (დაბადებული 16.06.1959), 2013 და 2014 წლებში შევსებული ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროში უშიშროების საკითხებში სამმართველოს უფროსის თანამდებობას იკავებდა. პარალელურად, 2013 წლის 19 თებერვლიდან 2014 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში მინისტრის მრჩევლის თანამდებობაზე მუშაობდა. 2002 წლის მონაცემებით, მას ეკონომიკის სამინისტროს წინამორბედ საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში აღრიცხვისა და მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობა ეკავა. ამა წლის 25 აგვისტოდან არჩილ ბებიაშვილი მუშაობს თბილისის ახლად არჩეული მერის დავით ნარმანიას ადმინისტრაციის აპარატში მრჩევლის თანამდებობაზე დროებით მოვალეობის შემსრულებლად. არჩილ ბებიაშვილის სახელი ფიგურირებდა ასევე 2011 წლის კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის უფროსის გიორგი რატიშვილის ხელმძღვანელობით განხორციელებული შემოწმების საქმეში. კომისიის წარმომადგენლებმა სწორედ არჩილ ბებიაშვილისა და მისი მეუღლის ბინაში შეამოწმეს, რამდენად კანონიერად გადასცემდა შპს „სუპერ ტვ“ სამაუწყებლო არხებს საქართველოს ტერიტორიაზე. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ შპს „სუპერ ტვ“ მთელ რიგ არხებს არამართლზომიერად გადასცემდა, რის საფუძველზეც მას გაფრთხილება მიეცა. აღსანიშნავია, რომ მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის ყოფილმა უფროსმა გიორგი რატიშვილმა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გაავრცელა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ყოფილი თავმჯდომარის ირაკლი ჩიქოვანის მაკომპრომეტირებელი ფარული აუდიოჩანაწერი.

„საერთაშორისო გამჭვირვალობის ინფორმაციით, ე.წ. „ოდეერია“ **პაატა ჯაჭვაძე,** რომელიც 2013 წლის 16 სექტემბრიდან საქართველოს კანცელარიის უფროსის მრჩეველია უშიშროების საკითხებში.

პაატა ჯაჭვაძე (დაბადებული 03.01.1974), 2014 წლის 26 სექტემბერს შევსებული ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უშიშროების საკითხებში ოფიცერთა მთავარი სამმართველოს უფროსია. 2013 წლის 24 სექტემბერს შევსებულ ქონებრივ დეკლარაციაში მას იგივე თანამდებობა აქვს მითითებული, იქამდე კი ჯაჭვაძე ჯერ შსს-ს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის აღმოსავლეთის რეგიონული სამმართველოს უფროსი იყო, შემდეგ კი კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე.

მთავრობის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, პაატა ჯაჭვაძე 2013 წლის 16 სექტემბრიდან საქართველოს კანცელარიის უფროსის მრჩეველია უშიშროების საკითხებში.

ე.წ ოდეერებს შორის მოხვდა **გიორგი გამსახურდია,** რომელიც უსაფრთხოების საკითხებში შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მრჩეველად მუშაობს.

მათივე ინფორმაციით, 2014 წლის თებერვალში შევსებული ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას შვილი გიორგი გამსახურდია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს (დეპარტამენტი) ოფიცრების უშიშროების საკითხებში (მთავარი სამმართველო) სამმართველოს უფროსის მოადგილეა. იქამდე გამსახურდია იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილე იყო.

ორგანიზაცია მომავალშიც აპირებს გააგრძელოს თემის კვლევა და საზოგადოების ინფორმირება ე.წ. „ოდეერების“ შესახებ.

◎ ამას გაფრთხილება უნდა!

პატრიარქმა სოროსისტების „მეხუთე კოლონაში“ პანიკა გამოიწვია

ჟეშმარიტების სიტყვებმა, რომელნიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ „როსსიისკაია გაზეტასთვის“ მიცემულ ინტერვიუში გაჟღერდა, შოკის მდგომარეობაში ჩააგდო საქართველოში მოქმედი დასავლეთის მეხუთე კოლონა — მასმედიაში და თვით საპატრიარქოს ადმინისტრაციულ შენობაში მოკალათებული სოროსისტები.

„რგ“-ში პატრიარქთან მოკლე ინტერვიუ გამოქვეყნდა 29 ოქტომბერს, ჩვენ კი ამ მასალის აქტიური გავრცელება ჩვენი ვებ-გვერდისა და მასმედიის (ძირითადად, სოციალური ქსელების) საშუალებით დავიწყეთ 31 ოქტომბერს, დღისით. იმავე დღის ბოლოსვე ერთ-ერთმა ცნობილმა საინფორმაციო სააგენტომ, რომელსაც ჯორჯ სოროსის ფონდი აფინანსებს, ავრცელებს „საქართველოს საპატრიარქოს განცხადებას“, რომელშიც ნათქვამია, რომ „რგ“-ის ჟურნალისტმა თითქოს საკუთარი ინტერპრეტაცია მისცა პატრიარქის ნათქვამს, რომ პატრიარქმა თითქოს განაცხადა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე რუსეთთან ურთიერთობები შეუძლებელია და ა. შ. — მოკლედ, საქმე გვაქვს მცდელობასთან, მოხდეს მართლმადიდებლური ერთიანობის ამსახველი ჟეშმარიტების სიტყვების ნიველირება.

სახელდახელოდ შეთითხნილი „საპატრიარქოს განცხადება“ ან ყალბია ან უბრალოდ არ გააჩნია რაიმე იურიდიული და მორალური ძალა. „საპატრიარქო“, როგორც ასეთი, უბრალო კანტორაა, სადაც წერენ. ბიუროკრატებს არ შეუძლიათ, შეცვალონ პატრიარქისა და ეკლესიის სხვა იერარქთა სიტყვები, საპატრიარქო ეკლესია არ არის. განცხადებას უნდა ჰყავდეს ავტორი, ხელის მომწერი. მაგრამ სოროსული საინფორმაციო სააგენტოს მიერ გავრცელებული „განცხადება“ არ შეიცავს რაიმე კონკრეტიკას, ხოლო საპატრიარქოს ვებ-გვერდი დუმს. ამიტომ, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ პატრიარქის სიტყვებით შოკირებული სოროსისტები ცრუობენ. თუკი საჭირო იქნება, შეიძლება აუდიოჩანაწერთან დაკავშირებით მივმართოთ „როსსიისკაია გაზეტას“. მაგრამ რამდენად ლამაზი იქნება და რამდენად დაამშვენებს ასეთი აურზაური საქართველოს?

სხვა მხრივ კი, რომ ვიმსჯელოთ სოციალურ ქსელებში გამოხმაურებების მიხედვით, პატრიარქის სიტყვებმა დიდი მოწონება ჰპოვა ნამდვილ ქართველებს შორის — გამოქვეყნებიდან სულ ორი დღის მანძილზე უკვე აღინიშნა ათასზე მეტი მაჩვენებელი „მომწონს“, ასზე მეტი განმეორებითი პუბლიკაცია, ათეულობით კეთილგანწყობილი კომენტარი „ფეისბუქის“ გვერდზე... ყოველივე ეს კი მხოლოდ ერთი ჩვენი მოკრძალებული ვებ-გვერდის წყალობით მოხდა, სინამდვილეში კი პატრიარქის სიტყვებს ქართველი ერის აბსოლუტური უმრავლესობა იზიარებს.

უწმინდესის პასუხი ანტირუსებს

რუსეთის სამთავრობო გაზეთი „როსსიისკაია გაზეტა“ აქვეყნებს ძალზე თბილ, პოზიტიურ სიტყვებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის ილია მეორის მისამართით. კორესპონდენტი ალექსანდრე იაროშენკო პატრიარქთან ინტერვიუს ჩასაწერად იმყოფებოდა. ქვემოთ გთავაზობთ გამოქვეყნებული მასალიდან ამონარიდ პატრიარქის სიტყვებს:

„რას ნიშნავს დღეს ჩემთვის რუსეთი? — იმას, რასაც ნიშნავდა ყოველთვის. რუსეთი — ეს არის ქვეყანა, რომელიც ეძებს საკუთარ ჭეშმარიტ გზას. სწორედ იქ მივიღე მე სასულიერო განათლება, დავამთავრე მოსკოვის სასულიერო სემინარია და აკადემია. იქ ჩამოყალიბდა ჩემი მსოფლმხედველობა, საბოლოოდ იქ მოხდა ჩემი სულიერი მდგომარეობის ფორმირება.

მე დიდ პატივს ვცემ რუსეთს, მე ვლოცულობ რუსეთისათვის.

იცით, რწმენა — ეს არის ყოველივეს საფუძველი. საქართველოსა და რუსეთს ერთი რწმენა აქვთ, მაგრამ ჩვენ ჩამოვშორდით ერთმანეთს. მე ეს ძალიან მამწუხრებს. ჩვენი ქვეყნები უნდა დაუბრუნდნენ დიალოგს — ეს გარდაუვალია. საქართველო ხომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. პოლიტიკოსები ცდილობენ, რომ ჩვენი ხალხები ერთმანეთს დააშორონ, მაგრამ ღვთის წყალობით, მათ ეს არ გამოსდით.

მჯერა, რომ რუსი და ქართველი ხალხები იპოვიან საკუთარ თავში ძალას და სიბრძნეს, რათა შეჩერდნენ და შეხედონ ერთმანეთს. ის, რაც გვაერთიანებს, ძებნას არ საჭიროებს, ის აშკარაა. არ შეიძლება, კვლავაც ერთმანეთისგან გაქცევა, ჩვენ ერთმანეთს უნდა ვთხოვოთ პატიება, გავაკეთოთ დასკვნები და დავიწყოთ დიალოგი.

მართლმადიდებლებმა არ უნდა დაბომბონ სხვა მართლმადიდებლები, აუცილებელია, ჩვენი პოლიტიკოსები დასხდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან და მოილაპარაკონ. სხვა გზა უბრალოდ არ არსებობს. გადაეცით რუსეთში ჩემი თბილი სურვილები, რათა იყოს სიკეთე და კეთილდღეობა“.

ჩვენი მხრიდან დავძენთ, რომ ჩვენი პატრიარქი არა მხოლოდ უდიდესი სულიერი მოძღვარი, არამედ საუკეთესო ქართველი დიპლომატიცაა. სწორედ მან გადაარჩინა ქართულ-რუსული ურთიერთობები სრული კრახისაგან, 2008 წლის შემდეგ, როდესაც რუსი და ქართველი ხალხების ერთმანეთისათვის მტრებად წაკიდება იყო დაგეგმილი. ჩვენს კომენტარებში ეს არაერთხელ აღგვინიშნავს კიდეც. საინტერესოა ისიც, რომ რუსული „საზოგადოებრივი აზრის კვლევის ფონდის“ ბოლო მონაცემების მიხედვით, რუსეთში საქართველოს მტრად აღიქვამს გამოკითხულთა მხოლოდ 1 პროცენტი, მაშინ, როცა 2008 წელს ეს ციფრი 25 პროცენტს აჭარბებდა.

ყოველივე ამას გაფრთხილება უნდა. ეს ესმის პატრიარქს. ეს უნდა გაიგოს ყველამ.

ევრაზიის ინსტიტუტი

◎ უცხოური გამოცემიდან

„საქართველომ უნდა გააცნობიეროს აზერბაიჯანის კარგი დამოკიდებულება და ჩვენი თანამემამულეების ინტერესები დაიცვას“

ყოველკვირეული გაზეთისთვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში აზერბაიჯანის მილი-მეჯლისის (პარლამენტის) დეპუტატი ზაჰიდ ორუჯი, რომელიც ეხება ადამიანის უფლებების დაცვის პრობლემატიკას, საქართველოს აზერბაიჯანულენოვანი მოქალაქეების უფლებათა დაცვის საკითხებზეც საუბრობს და თბილისის პოლიტიკას კრიტიკულად აფასებს (ესაუბრება სალეჰ ბაიათი).

გთავაზობთ ამონარიდს:

— როგორც აფასებთ სიტუაციას საქართველოში ეთნიკურ აზერბაიჯანელთა უფლებების დაცვის სფეროში?

— აზერბაიჯანი ბევრს აკეთებს საქართველოში ჩვენი თანამემამულეების უფლებათა დაცვისათვის, მათი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად. სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს იმ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მხარდაჭერას, რომელსაც აზერბაიჯანი საქართველოს უწევს. რასაკვირველია, ჩვენთვის დასავლეთისაკენ მიმავალი გზა საქართველოზე გადის, მაგრამ დღეს ამ გზაზე მოძრაობა მხოლოდ ცალმხრივია. სამწუხაროდ, ჩვენ იძულებული ვართ, დავაფიქსიროთ, რომ აზერბაიჯანელების — ჩვენი თანამემამულეების უფლებათა დისკრიმინაცია ხდებოდა როგორც ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს, ასევე ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის მმართველობის წლებში, გრძელდება დღესაც — საქართველოს ხელისუფლებაში ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგაც.



შეიძლება, ვინმემ თქვას, რომ ჩვენი თანამემამულეები საქართველოში თავიანთ უფლებებს აქტიურად იცავენ. ხაზი უნდა გავუსვათ, რომ აზერბაიჯანელები არასდროს არ ყოფილან ქართული სახელმწიფოებრიობის მოწინააღმდეგეები, არასდროს არ დაუწყიათ სეპარატისტობა, არასდროს არ ყოფილან გარეშე ძალების იარაღი საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ. აზერბაიჯანელები საქართველოს ხელისუფლებას სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად ულტიმატუმებს არ უყენებენ, სამაგიეროდ, ოფიციალური თბილისი თვლის, რომ აზერბაიჯანელები უსიტყვოდ უნდა დაემორჩილონ. ჩვენი თანამემამულეები იძულებული არიან, საკუთარი უფლებების დასაცავად ისე იბრძოლონ, რომ ხელისუფლებას ზიანი არ მიაყენონ და ჯავახეთის მოსახლეობას არ დაემსგავსონ. მე არაერთხელ მითქვამს, რომ საქართველოში აზერბაიჯანელებმა ტერიტორიულ-კულტურული ავტონომიის შექმნა უნდა მოითხოვონ, უფრო ხმამაღლა განაცხადონ თავიანთ უფლებებზე.

— ამას წინათ სამცხე-ჯავახეთში, ადიგენის რაიონის სოფელ მოხეში ხელისუფლებამ მეჩეთის ძველი შენობის დემონტაჟი მოახდინა, რომელსაც საბჭოთა პერიოდში ექსპლუატაციას კომუნისტები უწევდნენ. რამდენიმე კვირის წინათ ადგილობრივმა მუსლიმანურმა თემმა მისი დაბრუნება მოითხოვა, მაგრამ ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მიწა, რომელზეც მეჩეთია აშენებული, სახელმწიფოს ეკუთვნის და იმ ადგილზე დარბაზი ან კლუბი უნდა აშენდესო. განა ეს ადამიანის უფლებათა და მუსლიმანთა დისკრიმინაციის ფაქტად არ უნდა ჩაითვალოს?

— მე ამ ფაქტთან მიმართებით პროვოკაციას არ გამოვრიცხავ, ეს ან სპეცსამსახურების დამსახურებაა, ან კრიმინალური ჯგუფების ნამოქმედარი, რომლებთაც რაღაც ინტერესები აქვთ. ისტორიას ბევრი ასეთი პროვოკაცია ახსოვს. მაგალითად, ამას წინათ აშშ-ის ერთ-ერთ კვლევით ინსტიტუტში, სპეცსამსახურების მონაწილეობით, აზერბაიჯანის სამხრეთში სიტუაციის დესტაბილიზების სავარაუდო განვითარების სცენარები განიხილეს...

იბადება კითხვა: საიდან მოდის მსგავსი პროვოკაციები? ზოგიერთები რუსეთისაკენ იხედებიან, მაგრამ მე მათ კატეგორიულად არ ვეთანხმები და ასეთი აზრი მცდარად მიმაჩნია. უფრო მეტიც — ვთვლი, რომ ამ ძალებს აზერბაიჯან-რუსეთის ურთიერთობის გაუარესება სურთ. აზერბაიჯანი ცდილობდა, რუსეთთან კარგი ურთიერთობა შეენარჩუნებინა 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროსაც. ჩვენი პრეზიდენტი ილჰამ ალიევი არასდროს გაატარებს ისეთ საგარეო პოლიტიკას, რომ ერთი სახელმწიფოს ხარჯზე მეორესთან კარგი ურთიერთობა ჰქონდეს, სწორედ ამაში გამოიხატება აზერბაიჯანის საიმედოობა. ამიტომაც ოფიციალურმა თბილისმა უნდა გააცნობიეროს ბაქოს კარგი დამოკიდებულება და ჩვენი თანამემამულეების ინტერესები დაიცვას. თუ საქართველო მართლაც დემოკრატიულ სახელმწიფოდ ითვლება და სურს, ევროპის ნაწილი გახდეს, მაშინ კეთილი ნება უნდა გამოავლინოს და აზერბაიჯანელთა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები მოაგვაროს.

რატომ უნდა ვაშენოთ ჩვენ საქართველოში სკოლები, რატომ უნდა მივცეთ ჩვენ მოსწავლეებს სასკოლო სახელმძღვანელოები, შევქმნათ სხვადასხვა პროექტები იმ მიზნით, რომ საქართველოდან აზერბაიჯანელთა მიგრაცია შევაჩეროთ? ამაზე ხომ თვითონ საქართველოს ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს, ეს ხომ უპირველესად საქართველოს მთავრობის მოვალეობაა...

— რა უნდა გააკეთოს აზერბაიჯანის ხელისუფლებამ ამ მიმართულებით? გვაქვს რაიმე ბერკეტი საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლისთვის?

— აზერბაიჯანი ამ მიმართულებით ყველაფერს აკეთებს. ეს რომ არ ყოფილიყო, პრობლემები უფრო სერიოზული და უფრო ღრმა იქნებოდა.

— ხომ არ არის ეს ყველაფერი დაკავშირებული აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტთან, რომელიც თავის მოხსენებებში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში საქართველოსთან მიმართებით დუმილს ამჯობინებს, რადგან ვაშინგტონი და დასავლეთი ამ ქვეყანას სამხრეთ კავკასიაში „დემოკრატიის კუნძულად“ განიხილავს? და თვალს ხუჭავს თბილისის ყველანაირ დისკრიმინაციულ მოქმედებაზე?

— როცა 1995 წელს აზერბაიჯანში ზომები მიიღეს იმ ზოგიერთი დესტრუქციული ელემენტის წინააღმდეგ, რომლებთაც სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა სურდათ, საერთშორისო საზოგადოების წარმომადგენლები ჩვენ გვმოძღვრავდნენ, ახალმა ხელისუფლებამ ძველის სამართლებრივი დევნა არ უნდა განახორციელოსო, განსაკუთრებით მათ მიმართ, ვისაც მაღალი პოსტები ეკავათ წინა ხელისუფლებაში. უფრო მეტიც — გვეუბნებოდნენ, სახელმწიფო გადატრიალების ჩახშობა ხელს უშლის დემოკრატიულ პროცესებსო. მაგრამ, თუ დასავლეთი პარალელურად საქართველოში არსებულ სიტუაციას გააანალიზებს, დაინახავს, რომ იქ შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, ყოფილი გენპროკურორი, ეკონომიკური განვითარების ყოფილი მინისტრი დაპატიმრებული არიან, ხოლო ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზე ძებნაა გამოცხადებული. და ამ დროს საქართველოს არადემოკრატიულობას არავინ საყვედურობს. განა მათ არ იციან მეჩეთთან დაკავშირებული ისტორია? რა თქმა უნდა, იციან, მაგრამ არც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, არც დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, არც ევროკავშირი და ევროპარლამენტი საქართველოზე ზეწოლას არ ახდენენ. აზერბაიჯანი დასავლეთის ყველა მოთხოვნას ასრულებს, რომლებიც შეეხება ეკონომიკურ, ენერგეტიკულ, უსაფრთხოების საკითხებს, ადამიანთა უფლებების დაცვას... და ამ დროს დასავლეთი კიდევ უფრო მეტად ითხოვს ჩვენგან ერთგულების დადასტურებას, რომ ბლოკებში მონაწილეობა მივიღოთ, ანტირუსული ბარიკადები აღვმართოთ, აზერბაიჯანისა და აზერბაიჯანელთა ინტერესებზე კი არ ვიზრუნოთ.

აზერბაიჯანი დაიღალა დასავლეთისადმი თავისი ერთგულების დემონსტრირებით. შემთხვევითი არაა, რომ, როცა ნატოს სამიტზე ალიანსის წარმომადგენლებმა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებისგან მკვეთრი პოზიციები მოითხოვეს, ბატონი ილჰამ ალიევი მათ შეეკითხა: „გვაძლევთ გარანტიებს?“, მაგრამ პასუხი ამ შეკითხვას არ მოჰყოლია...

ნუ დავაგდებთ ქველთა გზათა, ნურცა ხსოვნას წინაპართა!

ანუ რა სჯობს, აწყვეტილ რუსეთთან საქართველოს გაწყვეტამდე ჭიდილი, თუ...

სამწუხაროდ, საქართველოში დღეს არ, ან თითქმის აღარ არიან ისეთი პოლიტიკოსები თუ პარტიები, რომლებიც ყოველგვარი მიუკიბავ-მოუკიბავად გაბედავენ და იმას იტყვიან, რაზეც წინამდებარე წერილში იქნება საუბარი.

სამაგიეროდ ბლომად არიან პოლიტიკანები, რომელთა ქმედება-უმოქმედობის გამო ნაციონალების ბანდამ იმდენად აიწყვიტა, რომ საზოგადოების არცთუ უმნიშვნელო ნაწილი სერიოზული ხიფათის მოლოდინით უყურებს ნაციონალ-კრიმინალების მიერ 15 ნოემბრისთვის დაანონსებულ „გრანდიოზულ მიტინგს“.

თუმცა, „გრანდიოზულის“ წინწკლებში ჩასმის იმედად ყოფნა არ ეგების, რადგან არც კიევის მაიდანი დაწყებულა გრანდიოზულად, მაგრამ სამაგიეროდ ვაშინგტონ-ბრიუსელის უპირობო მხარდაჭერის გარანტია ჰქონდათ, რამაც გარანტირებულად მოიყვანა ხელისუფლებაში ბანდერელი ნაციონალისტები, რომლებმაც მარტივ მამრავლებად დაშალეს ოდესღაც აყვავებული უკრაინა!

უკრაინის ისტორიის საქართველოში განმეორების ალბათობა არცთუ მცირეა, რადგან კიევის მაიდნის მსგავსად, თბილისის მაიდნის მოწყობის მსურველებსაც დასავლეთის (უწინარესად აშშ) ფინასურ-პოლიტიკური მხარდაჭერა ამთავითვე გარანტირებული აქვთ!

ეს რომ ასეა და არა სხვაგვარად, ამ მოსაზრების გასამაგრებლად ცნობილი ჟურნალისტური ხრიკის გამოყენებას არ ვაპირებ, ანუ, „სიაბანდზე“ არ ვიტყვი, რომ ინფორმაცია სანდო წყაროებიდან მაქვს!

საამისოდ მიმდინარე მოვლენების ლოგიკური ანალიზიც კმარა:

გავიხსენოთ ჩვენი „მეგობარი დასავლეთის“, ევროსაბჭოსა და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ტყუპისცალებივით მსგავსი განცხადება-რეზოლუციები, სადაც ყოველგვარი დიპლომატიური შეფუთვის გარეშე, უკვე მტკიცებულებითი ფორმით არის საუბარი ნაციონალ-კრიმინალების ე.წ. პოლიტიკურ დევნაზე და პირდაპირ, უკვე გვარ-სახელებით ითხოვენ ქართველთა მწამებლების, სისხლის მსმელების პატიმრობიდან გათავისუფლებას!

ეს ყველაფერი კი ქართველი ხალხის სულში ჩაფურთხებაა და ამას ის ხალხი აკეთებს, ვინც 9 წლის მანძილზე ფართოდ დახუჭული თვალებით უყურებდა „დემოკრატიის შუქურა“ სააკაშვილის სისხლიან რეჟიმს!

ნურც ის დაგვავიწყდება, როგორ მოულოდნელად „გავაჟკაცდა“ ჩვენი „ქსლისა მბეჭველი“ პრეზიდენტი, იქამდეც კი, რომ ღარიბაშვილსაც „დაადო“ ვეტო; ისიც, რომ ე.წ. თავისუფალი დემოკრატების ყრილობა 15 ნოემბრამდე ცოტა ხნით ადრე გაიმართება, სადაც აშშ-ის მთავარი ფავორიტი ირაკლი ალასანია პარტიის თავმჯდომარის პოსტს დაიბრუნებს; ისიც, თუ რა ორაზროვან განცხადებებს აკეთებენ ამერიკის მონა რესპუბლიკელები. ეს ყველაფერი ერთ მიზეზ-შედეგობრივ კონტექსტში გავაანალიზოთ და ბრიყვთათვისაც ცხადი გახდება, რომ ნოემბერში, როგორც მინიმუმ, უსიამოვნო სიურპრიზები გველის და რამდენად შორს წავა ეს სიურპრიზები, არსებულ ხელისუფლებაზე, პირადად პრემიერ ღარიბაშვილზეა დამოკიდებული!

პრემიერზე, რომელსაც, როგორც ჩანს (ნაცებს პლიუს ქოცების ლიბერასტული ნაწილის ხელით), მართლაც მთელი დასავლეთი ებრძვის და, იმის მიუხედავად ვის მოგვწონს და ვის არა, ამ ეტაპზე ყველა მამულიშვილის ვალია, მხარი ირაკლი ღარიბაშვილს დაუჭიროს, რადგანაც, სამწუხაროდ, დღესაც მარადიული დილემის, ცუდსა და უარესს (კოშმარს) შორის არჩევანის წინაშე დგას საქართველო!..

უკვე თქმულიდან გამომდინარე, ჩემი აზრით, სასწრაფოდ უნდა გადაიხედოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები, იქამდეც კი, რომ სერიოზულად ვიფიქროთ ევრაზიულ კავშირში გაწევრებაზე, გეოპოლიტიკურ-ეკონომიკურ გაერთიანებაში, რომელიც უკვე შემდგარი ფაქტია, რომელშიც ჩვენი კარის მეზობელი სომხეთიც გაწევრდა და მათ ამ კავშირის დომინანტ რუსეთთან პირდაპირი საზღვარი, ანუ, სახმელეთო კომუნიკაცია არა აქვს, რაც არა მგონია, დიდხანს გაგრძელდეს...

ეს ისე, როგორც იტყვიან, გამგები გაიგებს, თუ რა იგულისხმება, რა ხიფათს შეიცავს უკანასკნელი მრავალწერტილი!

ეგეც არ იყოს და, ამ კავშირზე არა მხოლოდ გეოპოლიტიკურ გიგანტებს (ჩინეთ-ინდოეთი) „უჭირავთ თვალი“, არამედ ისეთი კლასიკური დემოკრატიის ქვეყანასაც, როგორიც ისრაელია!

და ჩვენ რა, ებრაელებზე მეტი პატრიოტები ვართ საკუთარი ქვეყნისა, რომ ევრაზიული კავშირის ხსენება, ლამის აპრიორი სამშობლოს ღალატად ითვლება?

ევრაზიული კავშირის გავლით რუსეთის გავლენის ორბიტაზე დაბრუნება! აი, ჩემი აზრით (და არა მხოლოდ), საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური გადარჩენის, ტერიტორიული მთლიანობის (თუნდაც შორეულ მომავალში) აღდგენის ერთადერთი, თუნდაც ბუნდოვანი, მაგრამ მაინც პერსპექტივა!

სანამ მავანი „პატრიოტები“ ამ განცხადებისთვის მოღალატედ შემრაცხავთ, მანამდე სხვა გზა ხსნისა მაჩვენეთ და ისიც შემახსენეთ, თუ აშშ-ნატოს შემყურენმა, როგორ დავიბრუნეთ აფხაზეთი და ცხინვალი...

და, რაც უმთავარესია, ულმერთო, უფრო მეტიც, სატანისტი გლობალისტების შემოტევისას, პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეროვნული იდენტობის შენარჩუნების ერთადერთი გზა ევრაზიის ალიანსში შესვლა მგონია!

ამ უკანასკნელს განსაკუთრებით გაუსვა ხაზი რუსეთის პრეზიდენტმა საერთაშორისო სადისკუსიო კლუბ „ვალდაის“ ბოლო, 24 ოქტომბრის სოჭის ფორუმზე!

თუმცა, ამ ფორუმის მთავარი მიღწევა ის იყო, რომ ვლადიმერ პუტინმა ჩვეული პირდაპირი ლექსიკით, რომ იტყვიან, „ერთ ადგილზე მოსვა“ როგორც ზოგადად ლიბერასტული დასავლეთი, ასევე კონკრეტულად აშშ და მისი პრეზიდენტი!

ჩვენ (რუსეთი) ვაღიარებთ და პატივს ვცემთ არა მხოლოდ მართლმადიდებლობას, არამედ ყველა ტრადიციულ კონფესიას. აქედან გამომდინარე, ვაღიარებთ ათეისტების უფლებებს.

თქვენ (დასავლეთი), ერთ უფლებრივ სიბრტყეში განიხილავთ ტრადიციულ ოჯახებსა და ერთსქესიან ქორწინებებს, მრავალშვილიან ოჯახებსა და პედოფილია-ინცესტის პროპაგანდას, ბოლოს და ბოლოს რწმენას ღმერთისა და რწმენას სატანისას და რას გვიბრძანებთ, მივიღოთ ეს ყველაფერი, ანუ, როცა გვაუპატიურებენ, მოვდუნდეთ და სიამოვნება მივიღოთ?

თქვენ (აშშ), ყველაფრის უფლება გაქვთ (სერბეთის დაბომბვა, ერაყი, ავღანეთი, ლიბია, სირია და ა.შ.) და ჩვენ რუსების დაცვის უფლება არა გვაქვს?

არა, ბატონებო, ასე აღარ იქნება!

შინაარსობრივად ეს ბრძანა რუსეთის პრეზიდენტმა ხოლო თუ ციტირება გნებავთ:

„Что позволенно юпитеру, не позволенно быку? Да не будеть этого! Медведь то разрешения не укого не спросит. Он, вед, хозяин таиги!“

აი, ამას ჰქვია მართლაც აიწყვიტაო და ამ აწყვეტის ძალმოსილება კი ის არის, რომ ვლადიმერ პუტინი თავის წინამორბედ იმპერატორ ალექსანდრე III მსგავსად მიხვდა, რომ ისტორიულად, რუსეთის ერთადერთი ერთგული მოკავშირე მხოლოდ საკუთარი არმია და ფლოტი იყო, არის და იქნება.

პუტინის ხელში კი რუსეთის არმიამ თუ ფლოტმა მართლაც სტალინური საბჭოეთის სიძლიერეს მიაღწია, რაც აგრერიგად აშფოთებთ პოტომაკის ნაპირებზე, რადგან მათი ოცნება, სსრკ შემდეგ რუსეთიც გაექროთ მსოფლიო გეოპოლიტიკიდან და შემდეგ სამუდამოდ ებატონათ დედამიწაზე, კიევში გამოჩნდა, რომ სამუდამოდ ჩაფლავდა!

დავით მხეიძე.

P. S. როგორმე გიორგობის 15-23 თუ გადავურჩით, ქართველმა ერმა, საზოგადოებამ სასწრაფო არჩევანი უნდა გააკეთონ. სასწრაფოდ, რადგან დრო ჩვენს წინააღმდეგ მუშაობს!

ოღონდაც ერთი, პოლიტიკანების საყვარელი „არჩევანი“ — არც ნატო მინდა და არც რუსეთი — ამთავითვე უნდა გამოირიცხოს, რადგან ასეთი რამ იმის გარდა, რომ სამარცხვინო ურა-პატრიოტიზმია, ამავე დროს უტოპიაა — თანამედროვე მსოფლიოში შვეიცარია რომ შვეიცარიაა, გნებავთ ავსტრია, ისინიც კი ვერ გახლავან ბოლომდე ნეიტრალურები — აშშ-ს მთელი ევროკავშირი სატელიტად გაუხდია და ვინმეს სჯერა, რომ შვეიცარია თუ ავსტრია აშშ-ის ძლიერი გავლენის ქვეშ არ არიან?

აქედან, საქართველოსაც არავინ მისცემს ნეიტრალიტეტის ფუფუნებით ტკბობის საშუალებას!

ამიტომ, აშშ-ნატოს ფუჭ იმედად, გეოპოლიტიკურ ოკეანეში ჩასაძირად განწირული საქართველოს ნავი დროზე უნდა მიადგეს იმ ნაპირს, რომელსაც 2 საუკუნის წინათ მიაყენა მეფე ერეკლემ, ხოლო „ასის წლის წინად“, ამავე სათაურის წერილით დიდმა ილიამ ხოტბა შეასხა პატარა კახის არჩევანს!

ასის წლის შემდეგ კი ერეკლე-ილიას შთამომავლებმა უნდა გადავწყვიტოთ, რა სჯობს — აწყვეტილ რუსეთთან საქართველოს გაწყვეტამდე ჭიდილი თუ არ დაგდება გზათა წინაპართა?..

დ.ბ.

◎ ბუნება მბრძანებელია

ხულოში თოვლმა პრობლემები შექმნა

მაღალმთიან აჭარაში მოსულმა თოვლმა პრობლემები შექმნა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდაჭარის მოსახლეობამ აცნობა, მეორე დღეა, სოფელს ელექტროენერგია არ მიეწოდება. მოსახლეობა ამბობს, რომ წელს თოვლი ნაადრევად მოვიდა და მათ შეშისა და პირუტყვის საკვების მომარაგება ვერ შეძლეს.

როგორც ხულოს გამგებელმა ბესიკ ბაუჩაძემ განაცხადა, თოვლის საფარი ზემო სოფლებში 70 სანტიმეტრს აღწევს, ხოლო დაბებში 20 სანტიმეტრამდეა. მისივე თქმით, ტექნიკა მობილიზებულია და საწვავით უზრუნველყოფისთანავე დაიწყება გაწმენდითი სამუშაოები. მისივე თქმით, უმეტეს სოფლებს ელექტროენერგია შეუწყდა. გოდერძის უღელტეხილზე მოძრაობა ორი დღის წინ უხვი ნალექის გამო ჩაიკეტა.

დასავლეთ საქართველოში სტიქიას ებრძვიან

გარემოს დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, დასავლეთ საქართველოს ცალკეულ რეგიონებში გეოლოგიურმა და ჰიდრომეტეოროლოგიურმა მოვლენებმა გარკვეული პრობლემები შექმნა. ოზურგეთში, ძლიერი წვიმის შედეგად წმ. გიორგის ქუჩაზე ახალრეაბილიტირებული გზა დაზიანდა. შესაბამისმა სამსახურებმა გზის გასუფთავება უზრუნველყვეს და მოძრაობა აღდგენილია.

მათივე ინფორმაციით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ცენტრალური საავტომობილი გზის სავალ ნაწილზე ადგილი ქონდა მეწყრული მასის ჩამოშლას, რის შედეგადაც, რამდენიმე საათის განმავლობაში შეიზღუდა ავტოტრანსპორტის მოძრაობა. ამ დროისთვის, გზა გაწმენდილია და მოძრაობა სრულად აღდგენილია.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები ადგილზე იმყოფებიან და 24-საათიან რეჟიმში აწარმოებენ შესაბამის კვლევებს. პროცესების გააქტიურების შემთხვევაში, გეოლოგების მიერ შემუშავებული იქნება რეკომენდაციები, რის საფუძველზეც განხორციელდება პრევენციული ღონისძიებები.

ინტერპრესი

◎ კვალი დროში



სიცოცხლის ქომაგი

გამოჩენილ ქართველ ექიმს — ონკოლოგს, ქირურგს, მეცნიერს, პედაგოგს, საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტს, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს სახელმწიფო და ეროვნული პრემიების ლაურეატს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ რეზო გაგუას 70 წელი შეუსრულდა.

ღრმად პატივცემულო ბატონო რეზო,

საქართველოს ონკოლოგთა ასოციაცია გულითადად გილოცავთ ღირსშესანიშნავ იუბილეს — დაბადებიდან 70 წლისთავს!

ბატონო რეზო, თქვენ ამშვენებთ იმ გამორჩეულ ქართველ მეცნიერთა რიგებს, რომლებმაც შექმნეს მთელი ეპოქა ქართულ მედიცინაში, რომელთა სახელიც ასოცირდება კონკრეტულ დარგთან, მის ჩამოყალიბებასა და განვითარებასთან ჩვენს ქვეყანაში.

ონკოლოგია თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთი ურთულესი და უმნიშვნელოვანესი დარგია. თქვენ იტვირთეთ ურთულესი მისია — დაამტკიცოთ, რომ ყველაზე რთულ სიტუაციაშიც კი არსებობს გამოსავალი და რაც არ უნდა მძიმე იყოს დიაგნოზი, ბრძოლას პაციენტის სიცოცხლის გადასარჩენად ყოველთვის აქვს აზრი. თითქმის ყველა თქვენი ინტერვიუ თუ ჩვეულებრივი საუბარი იწყება სიტყვებით: *„კიბო დიაგნოზია და არა განაჩენი“*. ასობით გადარჩენილი სიცოცხლე და მადლიერი პაციენტი არის მტკიცება დიდი სიყვარულისა საკუთარი პროფესიის მიმართ, თავდადებისა და ერთგულებისა ავადმყოფის წინაშე. ყოველივე ამან განაპირობა კიდეც ქართველი საზოგადოების თქვენდამი ასეთი პატივისცემა.

ძალიან სასიამოვნოა, რომ თქვენი, როგორც ექიმისა და მეცნიერის დამსახურება განსაკუთრებით აღნიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ ილია მეორემ, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა მოგილოცათ ღირსშესანიშნავი იუბილე.

დიდი ქართველი, ჭეშმარიტი მამულიშვილი, უდიდესი მეცნიერი და ქირურგი, რომელიც თავისი განვლილი ცხოვრების წესით სამაგალითო გახდა ყოველი ჩვენგანისათვის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა თაობებისათვის. სამაგალითოა თქვენი ერუდიცია, შრომისმოყვარეობა, სიკეთე და ბევრი სხვა თვისება, რაც ასე ამშვენებს და აკეთილშობილებს თქვენს პიროვნებას.

თქვენი ხელმძღვანელობით საქართველოში ჩამოყალიბდა ონკოლოგიური სკოლა, რომელმაც მისცა ქვეყანას არაერთი გამოჩენილი ექიმი-ონკოლოგი. მათი უმეტესობა დღეს დამოუკიდებელი და სახელმოხვეჭილი მეცნიერია. თქვენ უდიდესი წვლილი მიგიძღვით ნიჭიერი და პერსპექტიული ექიმების აღზრდაში. დღეს თქვენი მოწაფეები გასახელებენ თქვენ ქვეყნის შიგნით და ასახელებენ ქვეყანას მის ფარგლებს გარეთ.

თქვენს ძირითად მეცნიერულ და პრაქტიკულ მუშაობის სფეროს წარმოადგენს თორაკალური ქირურგია — ფილტვის კიბოს დიაგნოსტიკა და მკურნალობა, შუასაყარის ახალწარმონაქმნების ქირურგიული მკურნალობა, ტრაქეო-ბრონქული ქირურგია და ოპერაციის შემდგომ გართულებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობის ახალი ეფექტური გზების ძიება. თქვენს მიერ პირველად საქართველოში განხორციელდა ფილტვის სიმსივნის დროს პერიფერიული ბრონქების კათეტერიზაცია ფიბრობრონქოსკოპის საშუალებით, ტრაქეის გულმკერდის ნაწილის ცირკულარული რეზექცია, ლობექტომია მთავარი ბრონქის ცირკულარული რეზექციით და ტრაქეის ბიფურკაციის რეზექცია. დაწყებულ იქნა ფილტვის რეციდივებისა და მეტასტაზური სიმსივნეების ქირურგიული მკურნალობა. როგორც აქტიური თორაკალური ქირურგი, დღესაც ეძებთ ფილტვის კიბოს ქირურგიული მკურნალობის გაფართოებულ-კომბინირებული ოპერაციების ოპტიმალურ მასშტაბებს და დახვეწის გზებს.

თქვენი დიდი ღვაწლი მეცნიერებისა და პრაქტიკული მედიცინის წინაშე აღინიშნა არაერთი სახელმწიფო თუ საერთაშორისო ჯილდოთი. ბრძანდებით სახელმწიფო და ეროვნული პრემიების ლაურეატი, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენისა და ღირსების ორდენის კავალერი.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტი ონკოლოგიაში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს წევრი; საქართველოს კლინიკური პრაქტიკის რეკომენდაციებისა (გაიდლაინების) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების, დამტკიცებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს და საქართველოს ეთიკის ეროვნული საბჭოს წევრი; საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს თორაკალურ ქირურგთა ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს ქირურგთა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე და სამედიცინო ასოციაციათა გაერთიანების წევრი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პოსტდიპლომური განათლებისა და პროფესიული განვითარების აკადემიის რეზიდენტურის პროგრამების პროგრამა-დირექტორი „ონკოლოგიაში“ და „ონკოქირურგიაში“; ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ონკოლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორი, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი და მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი, სახელმწიფო სასერტიფიკაციო საგამოცდო დარგობრივი კომისიის თავმჯდომარე, არაერთი საერთაშორისო საზოგადოების საპატიო წევრი — რთულია ჩამოთვალო ყველა ის მიღწევა, რამაც განაპირობა თქვენდამი ესოდენ დიდი სიყვარული და პატივისცემა საზოგადოებაში. ასეთი დაფასება არ მოდის თავისთავად, ყოველი ასეთი აღიარების უკან არის დაუღალავი შრომა, არაერთი სიძნელე თუ დაბრკოლება. სიძნელეები დაიძლევა, დაბრკოლებები გადაილახება, დარჩება მხოლოდ ის მადლი და სიკეთე, რაც ესოდენ ბევრი გიკეთებიათ ცხოვრებაში, მადლიერება იმ ადამიანებისა, ვისაც ასე ძალიან უყვარხართ, დარჩება სახელი დიდი ქირურგისა, პედაგოგისა და მეცნიერისა.

თქვენს მიერ განვლილი გზა — ეს არის ღირსეული, სამაგალითო ადამიანის ცხოვრების გზა. თითოეულ ჩვენგანს ჯერ კიდევ ძალიან სჭირდება თქვენი დიდი გამოცდილება და მეცნიერული ალღო. იმედია, რომ თქვენი მოღვაწეობა, როგორც ექიმის, მეცნიერის და პედაგოგის, კიდევ დიდხანს გაგრძელდება ქართული ეროვნული მედიცინისა და ონკოლოგიის სასარგებლოდ.

სულითა და გულით გილოცავთ სახელოვან იუბილეს და ერთი წამითაც არ გვეპარება ეჭვი, რომ ეს ის შემთხვევაა, როდესაც 70 წელი მხოლოდ იმ გამოცდილების საზომია, რომელიც ახალი მეცნიერული წარმატებებისთვისაა საჭირო. გისურვებთ დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, მხნეობას და ულევ სიხარულს თქვენს ლამაზ ოჯახთან და ყველა საყვარელ ადამიანთან ერთად!

საქართველოს ონკოლოგთა ასოციაცია

ვულოცავთ რეზო გაგუას

მარინა კანდელაკი, ალეკო ასლანიშვილი, გურამ გოგიაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთელი შემოქმედებითი კოლექტივის წევრთა სახელით გულწრფელად ულოცავენ რედაქციის ძველ ავტორსა და მეგობარს, სიცოცხლის დიდ ქომაგს, აღიარებულ მკურნალსა და მარჯვენადალოცვილ დასტაქარს, საუცხოო პიროვნებასა და მოქალაქეს რეზო გაგუას დაბადების საიუბილეო თარიღს და უსურვებენ მას ჯანმრთელობას, დღეგრძელობასა და ახალ წარმატებებს ოჯახის, სამეგობროს და მთელი ჩვენი საზოგადოების გულგასახარ-საკეთილდღეოდ.

◎ ალალი გულით

კიდევ ერთ ქართველს გაგაცნობთ, ძოწენიძეთა გვარიდან...

რუსეთში მოღვაწე ქართველ ქველმოქმედს ილია ძოწენიძეს.

დასჭექე, ჩემო კალამო,
ცისკარს დავკივლებ მთვარიდან,
კიდევ ერთ ქართველს გაგაცნობთ,
ძოწენიძეთა გვარიდან.

მუზები თვითონ მიხმობენ,
გულში მფერობენ მალულად,
ანგელოზები ნათლავენ
ილიას ქრისტიანულად,

დაგლოცავ, ძმაო, ბერმუხავ,
ღმერთმა გიმრავლოს მქებელი,
გაჭირვებულთა მხსნელი ხარ
და ნიჭის დამფასებელი.

ალალი მგოსნის მუზა ხარ
ლექსსა და მთის კაფიაში,
უფალმა თვითონ ჩაგწერა,
დიდგვაროვანთა სიაში.

შენი კაცობით შემთვრალი,
ვეღარ ვჩერდები შინაო,
ნეტა რა ზენამ შეგქმნა და...
რა დედამ გაგაჩინაო,

გული გაქვს, ჩემო ილია,
როგორც მთის წყაროს ნაჟური,
შეგარგოს მრუდე ვაზების
ცრემლების ჩამონაჟური,

იცოდე, შენთვის მზიანობს
თავად სამოთხის ფერები...
მგოსანი ორთავ სოფელში
კაცურად მოგეფერები.

ღმერთმა დაგლოცოს, რაინდო,
მოშურნეთ გულიმც წასვლიათ,
მტერმა რა უნდა დაგაკლოს,
როცა ღმერთი გყავს ნათლია!

გუგუნებს ქართვლის სამრეკლო,
აქ არის შენი ფესვები
სიკეთის ნიაღვარი ხარ,
კაცი ხარ, ვეღარ გეშვები.

შენი კაცობის გვირგვინი
როგორც მზის დისკო ელვარებს,
დედაღვთისმშობლის ქვეყანა
ღვთის მადლით გააელვარე.

ო, ბულბულებმა აიკლეს
დილას სოფელი გალობით,
უფალმა მთელი სიკეთე,
შენ დაგაბერტყა წყალობით,

დრო მოვა, სამეგობროში
არაგვზე ხინკალს ვხუხავდეთ,
ნეტავი შენებრ, ძმობილო,
სამშობლო სხვასაც უყვარდეს.

დღეს შენს სახელზე ლოცულობს,
თუშ-ფშავ-ხევსური, ფხოველი,
გფარავდეს წმინდა სამება,
და წმინდა სვეტიცხოველი!..

დიდება უფალს! სიკეთის
მთესველ კაცს იმერ-ამიერ...
დიდება საქართველოს და
შენს სახელს მრავალჟამიერ!

დავით ტიგინაშვილი —
(ივრისპირელი)
თბილისობა, 2014 წელი

გაერთიანებული სამეფოს პირველი ქართული სკოლა

ლონდონის კენსინგტონისა და ჩელსის სამეფო რაიონის მერიაში-მერის – მისი აღმატებულება ბუქმასტერის მიერ პირველი ქართული სკოლის დაჯილდოების ცერემონიალი , 2012 წლის 21 ოქტომბერი.

ლონდონში, ერთ-ერთ შენობაზე, ლამაზი ქართული ასოებით არის გამოყვანილი აღნიშნული სახელწოდება. შენობა ეკუთვნის The Latymer Christian Centre (ლონდონის ლათიმერის ქრისტიანული ცენტრი).

სკოლა განლაგებულია მეორე სართულზე და ფლობს შენობის 540მ²-ს. მოსწავლეთა ასაკი 4-დან 19 წლამდეა. სკოლამდელი ასაკის ბავშვები მოსამზადებელ ჯგუფში ირიცხებიან.

ბევრი კარგი გვსმენია ამ სკოლაზე. დაუჯერებელიც კი: იმდენად მაღალი რეიტინგის მატარებელია, რომ თვით სხვა ეროვნებების ბავშვებიც კი დადიან აქ და ეუფლებიან... ქართულ ენასო.

ყოველივე ამაში თავად დავრწმუნდი, როდესაც გავეცანი სკოლის ატმოსფეროს და შემდეგ კი დავესწარი მის დარბაზში ჩატარებულ არაერთ ღონისძიებას.

ყოველივე ამის სულისჩამდგმელი და შემოქმედი გახლავთ თავად სკოლის დირექტორი, უსაზღვრო ენერგიისა და არანაკლები ფანტაზიის მფლობელი ქალბატონი ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანისა. მართლაც, ლონდონში დაბადებულ კუდრაჭა გოგონებსა და ბიჭუნებს, იგი თამაშ-თამაშით აწვდის ქართულ ასო-ბგერათა საიდუმლოებებს. არ შეიძლება, არ აღფრთოვანდე სწავლების მისეული მეთოდით, რაც შეიძლება გაუადვილოს ყმაწვილებს ქართული ანბანისა და ენის შესწავლა, რაშიც უხვად იყენებს თვალსაჩინოებებს. მაგალითად: მისი კარნახით და დახმარებით მოსწავლეების მიერ დამზადებულ თვალხატულა ანბანს, ქართული ანბანისა და ენის შემსწავლელ კომპიუტერულ ვერსიას, მხარეების მიხედვით აწყობილ საქართველოს რუკას, ანატომიის საფუძვლების შესასწავლად — ადამიანის ასაწყობ ჩონჩხს, აბრეშუმის ჭიის ევოლუციას მურიდან პეპლამდე და ა.შ. ყოველივე ამას, ხალისით ითვისებენ ბავშვები.

სკოლას მნიშვნელოვნად აფინანსებს ქ-ნ ლიანას ქალიშვილი — ახალგაზრდა ინვალიდთა თანადგომის ორგანიზაციის თავმჯდომარე ანნა გოგრიჭიანი. იგი თავის სტიპენდიას და სახელმწიფოსგან მიღებულ დახმარებას არ იშურებს სკოლის მატერიალური აღჭურვისათვის. ამის გარდა, იგი, როგორც დაწყებითი განათლების კოლეჯის სტუდენტი, უშუალოდ მონაწილეობს სწავლების პროცესში: ამყარებს დისციპლინას პატარებში, ეხმარება სკოლის ქორეოგრაფს ეთერ ნიაზაშვილს, სწავლის დასასრულს რთავს ქართულ საბავშვო მუსიკას თავის ნათლიის ალ. ბასილაიას შემოქმედებიდან, რაც თავად სულგანათლებულმა ალექსანდრემ გამოუგზავნა სკოლას. და, ამ არაჩვეულებრივი მელოდიის ფონზე, ბავშვები, ლიანა მასწავლებლის გარშემო ხელიხელჩაკიდებულნი, წრეს უვლიან ჟრიამულით, მღერიან, ცეკვავენ და ხალისობენ უსაზღვროდ ბედნიერები. ასევე, ანნა გახლავთ არაერთი საქველმოქმედო ღონისძიების ინიციატორი როგორც ქართულ სკოლაში, ასევე ლონდონში.

დროდადრო მონიტორზე ბავშვებს აჩვენებენ ფილმს სკოლის წინა თაობის მოსწავლეთა მონაწილეობით, რომელშიც გადმოცემულია საქართველოს ისტორია ანტიკური ხანიდან მოყოლებული: თუ რა გამოიარა, რას გაუძლო, რამ გადაარჩინა ქართული სული დასაბამიდან დღემდე. ფილმში უხვადაა გამოყენებული საქართველოს ბუნების, ეკლესია-მონასტრების და ციხე-კოშკების უმშვენიერესი ხედები. ფილმი გვარწმუნებს, რომ არ არსებობს ძალა, რომელიც წინ აღუდგება ასეთი სულიერების მატარებელ ერს, და გამიზნულია ლონდონელი ქართველი ბავშვების ქართული სულისკვეთების აღზრდისათვის.

* * *

ლონდონის პირველი ქართული სკოლის ბიოგრაფია 2002 წლიდან იწყება. თუმცა, მისი დაარსების მოსამზადებელი პერიოდი ქართული დიასპორის ბრიტანეთში გაჩენისთანავე დაიწყო და მზადება თავიდანვე გამიზნული იყო სამშობლოში ღირსეული დაბრუნებისთვის არ დაეკარგათ მშობლიური ენა აქ, ბრიტანეთში დაბადებული თაობებისთვის, რაც გულისხმობდა უპირველესად იმას, რომ ამის საშიშროება ნამდვილად იყო, ვინაიდან მშობლები, თავიანთი უმძიმესი ყოველდღიური შრომით (თვით შაბათ-კვირის ჩათვლით), არჩენდნენ ოჯახებს ლონდონშიც და საქართველოშიც და არც დრო ჰქონდათ და არც ენერგია ჰყოფნიდათ შვილებისთვის ქართული სალაპარაკო ენის დასახვეწად.

დრო მიდიოდა, ქართველი საზოგადოების აზრი სკოლის აუცილებლობაზე სულ უფრო მწიფდებოდა, მაგრამ ეს უწყვეტი პროცესი ნელა და აუჩქარებლად მიმდინარეობდა. ასე რომ, სამი მნიშვნელოვანი მცდელობა სკოლის დაარსებისა, უშედეგოდ დამთავრდა, მიუხედავად იმისა, რომ ინიციატორები იყვნენ მეტად ღირსეული და პატივცემული პიროვნებები, ბატონები დავით ტურაშვილი და გიორგი ფოცხვერია; ქალბატონები მაკა ბაქრაძე, ხათუნა ჭელიძე და სხვები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბრიტანეთის ხელისუფლების მხრიდან ყოველთვის ჰქონდათ მხარდაჭერა და თანადგომა, რის გამოც, ერთგვარად, მოდუნების საშიშროების წინაშე იდგა ქართული დიასპორა. ქართული შეუპოვრობა კი, მოგეხსენებათ, იქ ვლინდება, სადაც წინააღმდეგობებია.

პრინცესა დიანას სახელობის ორდენოსანი, „საპატიო ახალგაზრდა ქველმოქმედისა“ და ბრიტანეთის სახელმწიფო პრემიის „აპალოს“ მფლობელი, ლონდონის პირველი ქართული სკოლის სპონსორი ანნა ჯიქია-გოგრიჭიანი.

1990 წელს ლონდონში ჩავიდნენ ლიანა ჯიქია და ვახტანგ გოგრიჭიანი ერთადერთი ქალიშვილის ანნა გოგრიჭიანის ჯანმრთელობის პრობლემებთან დაკავშირებით. მაგრამ ბევრი ქართველი პირადულს უკან სწევს
და ღირსებით სავსე ხდება, როდესაც საქმე მოყვასისთვის თავგანწირვას და, მით უმეტეს, წმინდა ქართულ საქმეს ეხება. ამის თვალსაჩინო მაგალითია ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანისა. მან მთელი არსებით გაითავისა ლონდონში ქართული სკოლის დაარსების პრობლემები, შეისწავლა მისი გადაუჭრელობის მიზეზები; უშუალოდ ესაუბრა მშობლებს; აგროვებდა მათ მოსაზრებებს, წინადადებებს, თუ რა მოთხოვნებს უყენებდნენ ჯერ არარსებულ სკოლას. ზოგ მშობელს აკმაყოფილებდა შვილისთვის მარტოოდენ ანბანის და სალაპარაკო ენის ათვისება, ზოგიერთისთვის აუცილებობას წარმოადგენდა დისციპლინების ქართულ ენაზე შესწავლა. იყვნენ ისეთებიც, რომლებშიც საჭირო იყო ეროვნულ-პატრიოტული მუხტის გაღვივება და პარალელურად შეხსენება, თუ რა სავალალო მდგომარეობამდე იყო მათი შვილების სამეტყველო ენა მშობლიურ ქართულში. ისინი უკვე ვერ წარმოთქვამდნენ წმინდა ქართულ ბგერებს (წ, ყ, ჭ, ფ, ძ) და ბგერათა ერთობლიობას, როგორებიცაა ფხ, დღ, ცხ, წყ, ღდგ, (აღდგა) და ა. შ.

დადგა დრო, როდესაც გადამწყვეტი ნაბიჯი უნდა გადაედგა. აი, რას იხსენებს ქალბატონი ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანი:

იდგა 2000 წლის გაზაფხულის ლონდონისთვის იშვიათად ნათელი დღე. ქართველი საზოგადოება რუსული ეკლესიიდან (ქართული ტაძარი ჯერ არ იყო დაარსებული) მიიჩქაროდა კენსიგტონში მდებარე „Boath House-ში, სადაც ტარდებოდა პირველი ქართული ღონისძიება — სააღდგომო დღესასწაული.

ზეიმს დაესწრო 167 ადამიანი. ეს წარმოუდგენლად დიდი რაოდენობა იყო იმდროინდელ ლონდონში. ზეიმი დაიწყო ქართული დროშის შემოტანით, გონაშვილის „მრავალჟამიერის“ თანხლებით. დარბაზში სიამაყით გაბადრულ სახეებს ცრემლის კვალი ამშვენებდა... მედროშეს, ბატონ ირეკი როდონაიას, მტკიცედ ჩაეჭიდა ხელები დროშის ტარისთვის. დროშის კალთას ამოფარებულ ყმაწვილებს: სანდროს და ლევანს თვალები სიამაყით უბრწყინავდათ. სწორედ იმ დღეს, ქართველი საზოგადოების თანდასწრებით, ისინი უფროსი თაობისგან იბარებდნენ დროშას „მედროშის“ საპატიო სახელით. შინდისფერი ქართული დროშის გადაცემისას გაისმა მორის ფოცხიშვილის „ფიცი“:

...„რწმენით, აზრით და ფიქრებით,
სამშობლო, საქართველოო,
შენი ერთგული ვიქნები!“...

დარბაზი სიამაყით დაიმუხტა.

საქართველოს პირველი ელჩი გაერთიანებულ სამეფოსა და ირლანდიაში, ბატონი თეიმურაზ მამაცაშვილი, აღტაცებას ვერ მალავდა, თავისი სიტყვა-ქარგულით, საზოგადოებას მიულოცა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული. ბატონ ელჩს პარიზის მკვიდრი, პირველ ქართველ ემიგრანტთა შვილი საფრანგეთში, ქალბატონი ნინო კალატოზიშვილი შეენაცვლა. მისი სიტყვები ამაღელვებელიც იყო და დამაფიქრებელიც: **„ქალბატონებო და ბატონებო! რაც დღეს აქ მოხდა, საოცრებაა. შეუძლებელია ამ დიდი შრომისა და ძალისხმევის შეფასება. ჩვენ, საფრანგეთის ემიგრაციას, დღესაც არ გვაქვს ქართული სკოლა პარიზში (ამჟამად სამი ქართული სკოლაა პარიზში. — დ.კ.). მე ვოცნებობდი ოდესმე მაინც მენახა სამშობლო, მაგრამ მე არ მქონია ბედნიერება, მევლო ქართულ სკოლაში, ვინაიდან იმ პერიოდის საფრანგეთში არ გამოჩნდა ამ საქმის მოთავე და გულშემატკივარი. დღეს მე ბედნიერი ვარ, როდესაც ვესწრები ამ ლამაზ დღესასწაულს, ვხედავ და სიამოვნებით ვღებულობ თქვენს დასტურს იმის შესახებ, თუ რატომაა აუცილებელი ქართული სკოლის გახსნა ლონდონში. მე ჩამოვედი პარიზიდან, რათა ამ საოცარი იდეისა და წამოწყების განხოციელების თვითმხილველი გავმხდარიყავი. გისურვებთ წარმატებებს და გირჩევთ: ნუ დაიხევთ უკან, ჩვენს მომავალ თაობებს ნუ დაუკარგავთ ქართულს“...** ამ გულწრფელ სიტყვებს მოჰყვა ოვაციები, ემოციები...

ასე საოცარ, ამაღელვებელ სიტუაციაში ჩაეყარა საფუძველი ქართული სკოლის დაარსების იდეას. მშობელთა ჯგუფი, რომლებიც ამ იდეამ გააერთიანა, იმავე დღეს გამოვლინდა და ლია ჯიქიას ხელმძღვანელობით საქმე ადგილიდან დაიძრა.

დაიწყო პერიოდი შემოქმედებითი შრომისა და რუდუნების, ორგანიზაციის ჩამოყალიბების. იქმნებოდა სასწავლო გეგმები ქართულ ენა-ლიტერატურაში, საქართველოს ისტორიასა და გეოგრაფიაში.

პირველ მუშა კომიტეტს წარმოადგენდა: ლია ჯიქია-გოგრიჭიანი, ლუარა ჯიქია, ნინო მამაგულაშვილი, ეკა კარტოზია, სოფიკო (დიდი სოფიკოს ძმისშვილი) ჭიაურელი, სალომე მამაგულაშვილი, ლილი როგავა. მოგვიანებით შეუერთდნენ ბატონები: იგორ როდონაია, კობა კარტოზია, კახაბერ აბაშიძე, დავით ჭითავა, რამაზ კარტოზია.

შეიქმნა სკოლის ლოგო. სკოლა უნდა ყოფილიყო წმინდა გიორგის სახელობისა იმის გათვალისწინებით, რომ ქართველებს ეკლესიაც ექნებოდათ ლონდონში. მაგრამ, განათლების ადგილობრივ ორგანოებში საბუთების გაფორმებისას აღმოჩნდა, რომ სკოლის დაარსებისთვის აუცილებელი იყო ამ არარსებული წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ნებართვა. ამ დროისთვის ქალბტონ ლიას უკვე ჰქონდა შეკვეთილი საქართველოს დროშა წმინდა გიორგის გამოსახულებით. ამასთან, მიიღეს უწმინდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევაც (არსებობს ამ ფაქტთან დაკავშირებული კინოქრონიკა).

სკოლა გაიხსნა, მაგრამ არა თავიდან გათვალისწინებული სახელწოდებით. ვინაიდან ქართული ეკლესია გაცილებით გვიან, 2008 წელს, დაარსდა ლონდონში.

თანდათან დაიხვეწა სკოლის კომიტეტი, უფრო მიზანმიმართული გახდა.. საჭიროებამ მოითხოვა მშობელთა მოსაზრებების გათვალისწინება. შემუშავდა 24-პუნქტიანი კითხვარი და დაურიგდა მშობლებს. რა თქმა უნდა, მათი მოსაზრებები და მოთხოვნები გაითვალისწინეს სკოლის წესდებაში.

თოვლის პაპა (დავით ჯიქია) სტუმრად ლონდონის პირველ ქართულ სკოლაში.

დარეჯან კაციტაძე,
ლონდონი.

(დასასრული იძნება)

ყველაზე დიდი სიმდიდრის აღწერა

ხვალ, 2014 წლის 5 ნოემბერს, საქართველოში იწყება მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, რომელიც ორ კვირას გაგრძელდება. მოსახლეობის საყოველთაო აღწერას, მისი რაოდენობისა და შემადგენლობის დადგენას, მიგრაციის, შობადობისა და სხვა დემოგრაფიული პროცესების შესახებ შესაბამისი მონაცემების მოპოვებას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებებისა და ორიენტაციების სწორად განსაზღვრისათვის. აღწერის შედეგად მოპოვებული მონაცემები საფუძვლად ედება ეკონომიკური და სოციალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას.

მოსახლეობის აღწერის მონაცემები საჭიროა, აგრეთვე, ადმინისტრაციული და სამეურნეო მუშაობის ორგანიზებისათვის. სახელმწიფო მმართველობის განხორციელება თანამედროვე ეტაპზე შეუძლებელია თითოეულ დასახლებულ პუნქტში, თითოეულ მუნიციპალიტეტსა თუ რეგიონში მოსახლეობის რაოდენობისა და შემადგენლობის ცოდნის გარეშე.

ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობა, მისი დემოგრაფიული და სოციალური მაჩვენებლები, განუწყვეტლივ იცვლება. მოსახლეობა დილით აღარ არის ის, რაც გუშინ იყო და საღამოთი ის, რაც იყო დილით. ამიტომ საქართველოს მოსახლეობის აღწერას დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ცვლილებების გამოსავლენად, რაც მეტად რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე წლებში ხდება ჩვენს ქვეყანაში.

უკანასკნელ წლებში დემოგრაფიული ვითარება საქართველოში უაღრესად გამწვავდა. ასეთ პირობებში მით უფრო ფასეული ხდება მოსახლეობისა და მასში მიმდინარე პროცესების შესახებ სანდო და ხარისხიანი ინფორმაცია მეცნიერული და პრაქტიკული მიზნების განხორციელებისთვის. უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში შობადობა ისე შემცირდა, რომ იგი მოსახლეობის თანაბარ გამრავლებასაც ვეღარ უზრუნველყოფს. მოსახლეობის აღწერის მასალები სინამდვილის მეცნიერული აღქმის, მოსახლეობის ზრდის კანონზომიერი განვითარების შესწავლის საშუალებას იძლევა. მოსახლეობის აღწერის მონაცემების საფუძველზე შეიძლება განვსაზღვროთ მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებში დაბადებისა და გარდაცვალების კანონზომიერებანი, მოსახლეობის რიცხოვნობის მოსალოდნელი ზრდის ტემპი, მოსახლეობის შემადგენლობაში მიმდინარე თვისობრივი ცვლილებები, უფრო სიღრმისეულად შევისწავლოთ როგორც მთლიანად ქვეყანაში, ისე მის ცალკეულ რეგიონებში მოსახლეობის ზრდის ფაქტორები და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, მოვახდინოთ მისი განვითარების პროგნოზირება. ამასთან, ამჟამად მხოლოდ მოსახლეობის აღწერების საფუძველზე შეიძლება გავარკვიოთ ქვეყნის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, რის გარეშეც შეუძლებელია ერის განვითარების პროცესის შესწავლა. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ მხოლოდ აღწერის პროგრამაშია შეტანილი კითხვა ეროვნების შესახებ.

მოსახლეობის აღწერის მნიშვნელოვანი პრინციპია ის, რომ მოსახლეობის აღწერის მიზნები დამოუკიდებელია, ასე ვთქვათ, არავითარ კავშირში არ არის სახელმწიფოს რაიმე კონკრეტულ ინტერესებთან — აღწერის მონაცემები კონფიდენციალურია და, ამდენად, არ შეეხება ცალკეულ მოქალაქეთა ქონებრივ და პირად ინტერესებს. აღწერის შედეგად მიღებული მონაცემები მხოლოდ ჯამური სახით გამოიყენება, მაგალითად, თუ აღწერის შედეგად მივიღებთ, რომ 3800 ათასი ქართველი, 300 ათასი აზერბაიჯანელი და 280 ათასი სომეხი ცხოვრობს საქართველოში — ჩვენთვის ეს ჯამური მაჩვენებელია საინტერესო და არა ის, თუ პეტრე ან პავლე ქართველია, აზერბაიჯანელი თუ სომეხი. ე. ი. ვადგენთ სხვადასხვა ნიშნით დაჯამებულ მილიონთა ბიოგრაფიას. ამასთან, აღმწერს სასტიკად ეკრძალება პროგრამის კითხვებზე გაცემული პასუხების გასაჯაროება, ვინმესთვის თქმა და ასეთი რამ აღწერების პრაქტიკაში არც ხდება. ამიტომ ყოველი მოქალაქე აღმწერის წინაშე უნდა იყოს გულახდილი, რათა ეს დიდი ეროვნული ღონისძიება მაღალ დონეზე ჩატარდეს.

დროის მოთხოვნების შესაბამისად, გარკვეული ცვლილებები იქნა შეტანილი სააღწერო პროგრამაში, თუმცა, მასში ყოველმხრივ დაცულია მემკვიდრეობითობისა და შესადარისობის პრინციპები. მოსახლეობის წინა, 2002 წლის აღწერის დროს პროგრამაში შევიდა ისეთი ახალი კითხვები, როგორიცაა: მოქალაქეობა, სარწმუნოება, რამდენი შვილის ყოლას აპირებდა კიდევ 15-19 წლის ასაკის გათხოვილი ქალი და სხვ. ამასთან, რიგ კითხვებს დაემატა ქვეკითხვები ან შეიცვალა მათი ფორმულირება.

ამჟამად აღწერის პროგრამაში შევიდა ახალი კითხვა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ასეთი კითხვა აღწერის პროგრამებში 1926 წლის აღწერის შემდეგ აღარ შესულა. მაშინ კითხვა სხვაგვარად იყო ფორმირებული და შეეხებოდა დასახიჩრებულებსა და სულით ავადმყოფებს. საინტერესოა, რომ 1926 წელს საქართველოში 2179 უსინათლო იყო (მათ შორის: დაბადებით — 221), 1091 — ყრუ-მუნჯი, კიდურების დამბლით დაავადებული იყო 1762 კაცი, ერთი ხელი არ ჰქონდა — 927 კაცს, ორივე ხელი — 27 კაცს, ერთი ფეხი მოკვეთილი ჰქონდა 1113 კაცს, ორივე ფეხი კი — 270 კაცს. ამავე წელს საქართველოში სულით ავადმყოფი იყო 3102 კაცი (მათ შორის: დაბადებით — 537). 1926 წლის აღწერის მიხედვით, მონაცემები დასახიჩრებულებისა და სულით ავადმყოფების შესახებ გაანალიზებული იყო რეგიონების, ეროვნების, დაბადების ადგილის, ასაკის, წერა-კითხვის მცოდნეობისა და არსებობის საშუალებების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ყველა ცალკეული ფიზიკური ნაკლისა და სულით ავადმყოფების მიხედვით და, მაშასადამე, მთლიანადაც, ქალების რაოდენობას მნიშვნელოვნად ჭარბობდა მამაკაცების რაოდენობა. კერძოდ, ფიზიკური ნაკლი ჰქონდა 4 653 მამაკაცსა და 2716 ქალს, სულით ავადმყოფი კი იყო 2097 მამაკაცი და 1005 ქალი. ამჟამად, ფიზიკური ნაკლის შესახებ კითხვა სხვაგვარადაა ფორმულირებული, კერძოდ, შეისწავლება მხედველობის დარღვევა (საერთოდ არა, ნაწილობრივ, მნიშვნელოვნად); სმენის დარღვევა; გადაადგილების, დგომის დარღვევა; ცნობიერების კონცენტრირების, მეხსიერების დარღვევა; კომუნიკაციის უნარის დარღვევა. აღწერის ახლანდელ პროგრამაში სხვა კითხვებიც დაემატა და ზოგიერთი კითხვის ფორმულირებაც შეიცვალა.

საქართველოში დემოგრაფიული ვითარება ისევ ძალიან მძიმეა. მეტიც, იმდენად მძიმეა, რომ თუ ასე გაგრძელდა, დემოგრაფიულ კატასტროფას ვერ ავცდებით. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1960-1989 წლებში, 30 წლის განმავლობაში საშუალოდ ყოველწლიურად ქვეყნის მოსახლეობის ბუნებრივი მატება 55 ათას კაცს უდრიდა, ხოლო ცალკეულ წლებში 70-76 ათას კაცსაც კი. ბოლო 24 წლის განმავლობაში (1990-2013 წლებში) კიდევ საშუალოდ წელიწადში ბუნებრივმა მატებამ მხოლოდ 9377 კაცი შეადგინა, ცალკეულ წლებში კი მოსახლეობის ნულოვანი ბუნებრივი მატება დაფიქსირდა — რამდენიც დაიბადა, თითქმის იმდენივე გარდაიცვალა.

საპასპორტო მონაცემებიდან ეროვნების გრაფის ამოღების შემდეგ ჩვენ არ ვიცით რამდენი ქართველი ბავშვი დაიბადა, რამდენი კაცი გარდაიცვალა, რამდენი ქართველი დაქორწინდა უცხოელზე და ა. შ. ეს არის სავალალო რეალობა, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვგრძნობთ ამას ბოლომდე. გავა გარკვეული დრო და დავინახავთ, რომ ეს პროცესები გაცილებით სახიფათო ვითარებისკენ მიდის. მთელ რიგ მუნიციპალიტეტებში მოსახლეობა კატასტროფულად იკლებს — მუნიციპალიტეტები იცლება მოსახლეობისგან. მაგალითად, 2013 წელს 59 მუნიციპალიტეტიდან მოსახლეობის ბუნებრივი კლება აღინიშნა 35 მუნიციპალიტეტში, ანუ 59 პროცენტში. თან ეს კლება ძირითადად მოხდა ქართველებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში, კერძოდ, ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის, ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, სიღნაღის, ყვარლის, დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის, ამბროლაურის, ონის, ლენტეხის, ცაგერის, აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, ჩხოროწყუს, სენაკის, წალენჯიხის, ბორჯომის, დმანისის, თეთრიწყაროსა და კასპის მუნიციპალიტეტებში. აღნიშნულ მუნიციალიტეტებში მოსახლეობის ბუნებრივი კლება წლებია, გრძელდება და უკვე კრიტიკულ ზღვარს მიაღწია.

ამ ასპექტში მეტად მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტიც. გასულ, 2013 წელს საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ 9325 კაცი შეადგინა — 7 178 ქალაქად და 2147 სრულად, რაც იმას ნიშნავს, რომ მთელი ბუნებრივი მატების 77,0 პროცენტი ქალაქებზე მოდიოდა — ძირითადად კი ოთხ ქალაქზე — თბილისზე, ბათუმზე, ქუთაისსა და რუსთავზე — 75,7 პროცენტი; საკუთრად თბილისზე კი — 48,0 პროცენტი. ყოველივე ეს იმის უტყუარი ფაქტია, რომ სოფლად შობადობის დონე კატასტროფულად შემცირდა, როდესაც ადრე პირუკუ მოვლენას ჰქონდა ადგილი. აღნიშნულ ოთხ ქალაქში მუშაობენ საფინანსო დაწესებულებების სათაო ოფისები, კერძო უმაღლესი სასწავლებლები, სამრეწველო და სავაჭრო ობიექტები და სხვა. ასე რომ, ეკონომიკური პირობები ჯერ კიდევ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შობადობის დონეზე. რაც შეეხება სოფლებს, იქ ბავშვები, შეიძლება ითქვას, აღარ იბადება. მაგალითად, კახეთის სოფლებში წინა ათწლეულებში (1970-1979 და 1980-1989 წლებში) 60 ათასი ბავშვი,ბოლო ათწლეულში (2000-2009 წლებში) კი 20 ათასი ბავშვი დაიბადა, ისინიც იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც ეთნიკურად და რელიგიური აღმსარებლობის მიხედვით შერეული მოსახლეობა ცხოვრობს. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად გავატაროთ აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შემდეგში, რაც არ უნდა დიდი სახსრები დავხარჯოთ ამ მიმართულებით, შედეგი ძალიან მცირე ან საერთოდ არ იქნება. აღსანიშნავია, რომ ამჟამად მხოლოდ აღწერაში ფიგურირებს კითხვა ეროვნების შესახებ და ამ კითხვას ყველამ უნდა გავცეთ პასუხი, რადგან ეროვნებასთან დაკავშირებით მუშავდება ბევრი დემოგრაფიული მონაცემი.

ისეთი მძიმე დემოგრაფიული ვითარების ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, დემოგრაფიული ვითარების მყისიერად გაუმჯობესება შეუძლებელია. იგი უაღრესად აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების შემთხვევაშიც კი, რამდენიმე დემოგრაფიულ თაობას საჭიროებს. თაობის სიგრძე კიდევ დროის ის საშუალო ინტერვალია, რომელიც ყოფს მშობელთა და შვილთა თაობას. გაანგარიშებულია, რომ გოგონები, როდესაც მიაღწევენ დაახლოებით 28-30 წელს, მაშინ ხდება დედათა თაობის სრული ჩანაცვლება. ეს იმას ნიშნავს, რომ მყისიერად ვერ გავაუმჯობესებთ დემოგრაფიულ ვითარებას, რაც არ უნდა დიდი ფინანსური სახსრები გავიღოთ, რადგან დემოგრაფიული პროცესები გარკვეული ინერტულობით ხასიათდება — დაქორწინება შეიძლება მხოლოდ გარკვეული ასაკის მიღწევის შემდეგ, ბავშვი ვერ გაჩნდება ცხრა თვეზე ადრე, შეუძლებელია მრავალშვილიანობის მასობრივად გავრცელება და სხვ. ამდენად, დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება საუკეთესო ხელშეწყობის პირობებშიც კი — დროის მცირე ან თუნდაც საშუალოვადიან მონაკვეთში, ვთქვათ ხუთ, ათ ან თუნდაც 20 წელიწადში, სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს, მით უმეტეს უმძიმესი დემოგრაფიული ვითარების პირობებში. ამიტომ აუცილებელია დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება ხანგრძლივი პერიოდისთვის. საფრანგეთში სწორედ ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი დემოგრაფიული ღონისძიებების გატარების შედეგად გაუმჯობესდა დემოგრაფიული ვითარება და ამჟამად ევროპის ქვეყნებს შორის საფრანგეთში დემოგრაფიული მაჩვენებლები თითქმის ყველაზე უკეთესია (საფრანგეთი დემოგრაფიულ პოლიტიკას აქტიურად 1920-იანი წლებიდან ატარებს). **არც ისე იშვიათად სწორედ ეს მომენტი ეღობება წინ დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებას, რადგან მოცემული ხელისუფლების მიერ დაწყებულ დემოგრაფიული პოლიტიკის დადებით შედეგებს საბოლოოდ უკვე სულ სხვა ხელისუფლება იღებს. დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების ინიციატორ ხელისუფლებას კი, ასე ვთქვათ, „უქმად“ ეხარჯება გაწეული საკმაოდ სოლიდური ფინანსური რესურსები — ის მხოლოდ ნაწილობრივ იმკის მის მიერ გაწეული სამუშაოს შედეგს, თუმცა, საბოლოოდ მოგებული მთელი ერი რჩება.** ამიტომ ხელისუფლებები უფრთხიან მძიმე დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღებისთვის კოლოსალური თანხების გაღებას და ამით დიდი ეროვნული ინტერესების უგულებელყოფა ხდება. მხოლოდ მაღალი პატრიოტული შეგნების ხელისუფლება იწყებს ზრუნვას უმძიმესი დემოგრაფიული პრობლემების მოსაგვარებლად, რომელსაც მიაჩნია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ფასეულობა არის ერის გამრავლება და მისი უწყვეტობის უზრუნველყოფა.

ამ უაღრესად ეროვნული და სტრატეგიული პრობლემის მოსაგვარებლად უკვე პირველი ნაბიჯები გადადგა მხოლოდ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ. დემოგრაფიული პრობლემების მოგვარების კომისიას სათავეში ჩაუდგება პრემიერ-მინისტრი, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი.

დაბოლოს, უნდა გარკვევით ითქვას, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა აღწერის ჩასატარებლად მნიშვნელოვანი მოსამზადებელი სამუშაოები შეასრულა. აწი ყველაფერი დამოკიდებულია სააღწერო პერსონალსა და მოსახლეობაზე. შექსპირს ერთ-ერთ სონეტში აქვს ასეთი ფრაზა: რად „არ გაფიქრებს შენი მოდგმის გადაშენება“. თუ ჩვენ გვინდა თავი დავაღწიოთ უმძიმეს დემოგრაფიულ ვითარებას, თუ გვაწუხებს ჩვენი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი, აღმწერებმა და მოსახლეობამ ნაყოფიერად უნდა ვითანამშრომლოთ, ზუსტი პასუხები გავცეთ სააღწერო ფურცელში დასმულ კითხვებს, რათა შესაძლებლობა მოგვეცეს მეცნიერულ საფუძველზე შევიმუშაოთ საქართველოს დემოგრაფიული განვითარების მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი კონცეფცია-პროგრამა.

ანზორ თოთაძე,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დემოგრაფიული პრობლემების კვლევის ცენტრის დირექტორი, პროფესორი

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო
აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტი (EWHIP-4)
კრედიტის/სესხის № IDA5245-GE; IBRD-8263-GE
პროექტის № P130413
დავალების სახელწოდება: "ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემის (ITS) სტრატეგიის განვითარება და სამოქმედო გეგმის შემუშავება აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანსპორტო დერეფნისათვის"
კონტრაქტის / RFP No: EWHIP-4/CS/ICS-03
საიდენტიფიკაციო № EWHIP-4 PP, კომპონენტი 2B, პუნქტი No.11

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტისათვის.** აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის დაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ ინდივიდუალურ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატად შემდეგი მომსახურების გასაწევად: **"ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემის (ITS) სტრატეგიის განვითარება და სამოქმედო გეგმის შემუშავება აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანსპორტო დერეფნისათვის".**

აღნიშნული დავალების მიზნების მისაღწევად, კონსულტანტმა უნდა განახორციელოს შემდეგი:
(i) განახორციელოს საჭიროებების კვლევა;
(ii) ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემის (ITS) სტრატეგიის განვითარება და სამოქმედო გეგმის შემუშავება;
(iii) ტექნიკური დავალების მოზადება და დეტალური ტექნიკური და პროექტის სპეციფიკაციების მომზადება შერჩეული პრიორიტეტული საქმიანობისათვის.

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობა 4 თვე.

კონსულტანტი უნდა იყოს ექსპერტი მინიმუმ 15 (თხუთმეტ) წლიანი პროფესიული გამოცდილებით ITS დაგეგმასა და განხორციელებაში, კონკრეტული გამოცდილებით არქიტექტურის განვითარებაში, საჭიროების შეფასებაში, ცოდნა ინსტიტუციური განვითარების სექტორში, და ანალოგიური საერთაშორისო გამოცდილების ქონა. უპირატესობა მიენიჭება კონულტანტის წინა გამოცდილებას საქართველოში და რუსული ენის ცოდნას. კონსულტანტმა უნდა აჩვენოს შესანიშნავი კომუნიკაციური უნარ-ჩვევები ტექნიკური პრეზენტაციების წარმოდგენის და ანგარიშების წერის დროს.

შენიშვნა: საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი საბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – "მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკისა (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა "კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს" კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი პარტნიორების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომელიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალი კონსულტანტს მონაწილეობა სხვა მომსახურებაში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებლი მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევის მეთოდით მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების შესაბამისად: **მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება, 2011 წლის იანვარი.**

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამათზე სამუშაო საათებში 10:00-დან 18:00 საათამდე.

ინტერესის გამოხატვის და თანდართული შრომითი ბიოგრაფიის ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2014 წლის 25 ნოემბრის 17:00 საათისა.**

სახელი და გვარი: ვახტანგ რაზმაძე
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი.
მისამართი: ალ.ყაზბეგის №12, თბილისი, 0160, საქართველო
ტელ: +995 322 37-05-08 დამ. 348
ფაქსი: +995 322 31-30-34
ელ-ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSION OF INTEREST

Georgia
Forth East-West Highway Improvement Project (EWHIP-4)
Credit/Loan No: IDA5245-GE; IBRD 8263-GE
Project No. P130413
Assignment Title: Development of an Intelligent Transportation System (ITS) Strategy and Action Plan for East-West Highway Corridor
Contract/RFP No: EWHIP-4/CS/ICS-03
Reference No. EWHIP-4 PP, Component 2B, Item No.11

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the Forth East-West Highway Improvement Project and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible Individual Consultants to express their interest in providing the following services: **"Development of an Intelligent Transportation System (ITS) Strategy and Action Plan for East-West Highway Corridor".**

To achieve the objective of this assignment, the Consultant is expected to:

(i) Carry out a needs assessment;
(ii) Develop an ITS strategy and Action plan;
(iii) Prepare Terms of Reference and detailed technical and design specifications for a selected priority activities.

The estimated duration of assignment is 4 months.

The Consultant should be a senior ITS expert with a minimum of fifteen (15) years' professional experience in the ITS planning and implementation, with particular expertise on architecture development, needs assessment, knowledge of institutional development in the sector, and familiarity with similar international experiences. Knowledge and previous experience of Georgia and proficiency in Russian language would be advantageous. The Consultant shall demonstrate excellent communication skills in delivering technical presentations and report writing.

Note: The Road Department reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

An individual consultant will be selected in accordance with the procedures set out in Section V: "Selection of Individual Consultants" of the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants by World Bank Borrowers (January 2011).

Interested consultants may obtain further information at the address below during office hours 10:00 to 18:00 hours.

Expressions of Interest accompanied by CVs and other relevant information electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than **November 25, 2014, 17:00 hours.**

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Unit of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Tel: +995-322-37-05-08, ext. 348
Fax: +995-322-31-30-34
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

ინფორმაცია

2014 წლის 25 დეკემბერს 15 საათზე, ქუთაისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართება ქ. ქუთაისის ნიკეას ქუჩისა და ქუთაისის შემოვლითი ავტომაგისტრალის გეგუთის კვანძთან შემაერთებელი გზის 4.093 კილომეტრიანი მონაკვეთის რეკონსტრუქცია–მოდერნიზაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე:** www.georoad.ge
- **ქ. ქუთაისის, გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (გზშ-ს ანგარიშის ამობეჭდილი ვერსია);**

გთხოვთ წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ მითითებულ საკონტაქტო პირებს: ლუიზა ბუბაშვილს, ტელ: 59521941. likabubashvili@yahoo.com და მედგარ ჭელიძე 599162221

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

ინფორმაცია

2014 წლის 12 ნოემბერს 15 საათზე, საავტომობილო გზების დეპარტამენტის შენობაში გაიმართება საერთაშორისო მნიშვნელობის **E**-60 მაგისტრალის ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მოსამზადებლად კონსულტანტის დაქირავების მიზნით ტექნიკური დავალების საჯარო განხილვა.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებგვერდზე: www.georoad.ge

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ მითითებულ საკონტაქტო პირებს: ლუიზა ბუბაშვილი ტელ: (+995 595) 219141, ელ.ფოსტა: likabubashvili@yahoo.com და მაია ვაშაკიძე ტელ: (+995 593) 323077 ელ.ფოსტა: maia vashakidze@yahoo.co.uk

Information

There will be public hearing of Terms of Reference for hirin the consultant to prepare E-60 Highway Zemo Osiauri – Chumateleti section Environmental Impact Assessment Report. The hearing will take place at The Road Department.
The public representatives can find information about above mention document at the Road Department web page: www.georoad.ge.
Please, send your comments and remarks to below mentioned contact persons: Ms. Luiza Bubashvili - phone: (+995 595) 219141, E-mail: likabubashvili@yahoo.com and Ms. Maya Vashakidze – phone: (+995 593) 323077 E-mail: maya_vashakidze@yahoo.co.uk

სატენდერო მოწვევა

საქართველო
აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტი
კრედიტის/სესხის № IDA5245-GE; IBRD 8263-GE
პროექტის № **P130413**

დავალების სახელწოდება: (ა) ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა E-60 ოთხზოლიანი მაგისტრალის გაუმჯობესებულ მონაკვეთებზე (ნატახტარი-რუისი) მოვლა-შენახვის ინტერვენციების განსასაზღვრად და (ბ) სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება მოვლა-შენახვის სამუშაოებისა და მოვლა-შენახვის სამუშაოების ზედამხედველობისათვის.

კონტრაქტი/RFP № EWHIP–4/CS/QCBS-02
საიდენტიფიკაციო №: EWHIP-4 PP, კომპონენტი 3, პუნქტი №12

საქართველომ მიიღო მსოფლიო ბანკის დაფინანსება **აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტისთვის.** აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო კომპანიებს (კონსულტანტებს) ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **(ა) ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა E-60 ოთხზოლიანი მაგისტრალის გაუმჯობესებულ მონაკვეთებზე (ნატახტარი-რუისი) მოვლა-შენახვის ინტერვენციების განსასაზღვრად და (ბ) სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება მოვლა-შენახვის სამუშაოებისა და მოვლა-შენახვის სამუშაოების ზედამხედველობისათვის.**

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ აღნიშნული მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს (მაგრამ არ არის შეზღუდული) შემდეგს: შესაბამისი გამოცდილება საპროექტო ღონისძიებებთან მიმართებაში, კორპორატიული პროფილი.

შერჩევის კრიტერიუმებია:
- ზოგადი გამოცდილება.
- ანალოგიური გამოცდილება.

საკონსულტაციო მომსახურების სავარაუდო ხანგრძლივობაა 7 თვე.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – ’მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]’ (2011 წლის იანვრის გამოცემა, “კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები”) – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით შეუძლიათ, გაერთაიანდნენ სხვა ფირმებთან ერთობლივი საწარმოს ან ქვე-კონსულტანტის სახით. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას №1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge
შემდეგ ბმულზე:
http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება კონსულტანტის კვალიფიკაციისა და ღირებულების შერჩევის მეთოდით მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტის შერჩევა და დაქირავება (2011 წლის იანვრის გამოცემა).

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე სამუშაო საათებში 10:00-დან 18:00 საათამდე.

ინტერესის გამოხატვის ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2014 წლის 25 ნოემბრის 17:00 საათისა.**

სახელი: ვახტანგ რაზმაძე
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი
მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო
ტელ: +995 322 37-05-08 დამ. 218
ფაქსი: +995 322 31-30-34
ელ. ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia
Forth East-West Highway Improvement Project
Credit/Loan No. IDA5245-GE; IBRD 8263-GE
Project No. P130413

Assignment Title: (i) Feasibility study to define the scope of maintenance interventions along the upgraded sections of the E60 4-lane carriageway e.g. Natakhtari to Ruisi and (ii) Preparation of bidding documents for maintenance works and supervision of maintenance works

Contract/RFP No: EWHIP-4/CS/QCBS-02
Reference No. EWHIP-4 PP, Component 3, Item No.12

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Forth East-West Highway Improvement Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consultants to express their interest in providing the following services: **“(i) Feasibility study to define the scope of maintenance interventions along the upgraded sections of the E60 4-lane carriageway e.g. Natakhtari to Ruisi and (ii) preparation of bidding documents for maintenance works and supervision of maintenance works”.**

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project activities, key staff resources and qualification, corporate profile.

The selection criteria are:

- General experience;
- Similar experience.

Estimated duration of assignment is 7 months.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank’s G, January 2011 (“Consultant Guidelines”), setting forth the World Bank’s policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm’s consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association (***Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association***) to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on w on the following link:
http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

The Consultant will be selected under Quality and Cost-based Selection method for a lump-based contract set out in the World Bank’s G, January 2011 (“Consultant Guidelines”).

Interested consultants may obtain further information at the address below during office hours 10:00 to 18:00 hours.

Expressions of Interest electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than **November 25, 2014, 17:00 hours.**

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Department of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Tel: +995-322-37-05-08 ext. 218
Fax: +995-322-31-30-34
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

ინფორმაცია

ამერიკელი გენერალი ოქროს საწმისის ორდენით დაჯილდოვდა

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი რომან ჯოხაძე ISAF-ის გაერთიანებული სარდლობის მეთაურს, გენერალ-ლეიტენანტ ჯოზეფ ანდერსონს შეხვდა. პოლკოვნიკმა რომან ჯოხაძემ გენერალ-ლეიტენანტ ანდერსონს ავღანეთში ქართველი სამხედროების მხარდაჭერისა და დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა და საქართველოს მთავრობის, თავდაცვის მინისტრისა და გენერალური შტაბის უფროსის სახელით საქართველოს სახელმწიფო ჯილდო, ოქროს საწმისის ორდენი გადასცა.

გენერალ-ლეიტენანტ ჯოზეფ ანდერსონის განცხადებით, მას განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს ქართველი სამხედროების მიმართ. გაერთიანებული სარდლობის მეთაური ავღანეთში ქართველ სამხედროებს არაერთხელ შეხვდა. გენერალ-ლეიტენანტი ანდერსონი ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავს ქართველი სამხედრო მოსამსახურეების მომზადების მაღალ დონეს, ბრძოლისუნარიანობას და ISAF-ის მისიაში ქართველების მიერ შეტანილ განსაკუთრებულ წვლილს.

◎ წინ, საქართველო!

ევროპა ზედიზედ მეორედ მოიგეს

პორტუგალიის **დედაქალაქ ლისაბონში 19-წლამდელ მორაგბეთა ევროპის პირველობაზე გასულ შაბათს ფინალური შეხვედრა გაიმართა. საქართველოს ნაკრებმა (რატი შანიძე, იოსებ კიკვაძე, გიორგი კოშაძე, ბადრი ლიპარტელიანი, დავით გულიტაშვილი, რეზო ჯინჭველაშვილი, ვასილ ლობჟანიძე. ნიკა ნეფარიძე, ბადრი ალხაზიშვილი, გიორგი მელიქიძე, თორნიკე ზოიძე, ოთარ გიორგაძე, თორნიკე ბუბუტეიშვილი, დავით პაპავაძე, ბექა გორგაძე. თორნიკე მატარაძე, გიორგი ტორაძე, ბექა კაკაბაძე, როლანდ კვაჭაძე. ბესიკ ბარბაქაძე, ბადრი დანგაძე, თემურ თუთბერიძე, გიორგი ბაბუნაშვილი, ანზორ სიჭინავა, ირაკლი სვანიძე) გადამწყვეტ პაექრობაში მასპინძელ თანატოლებს აჯობა 44:14 და ჩემპიონის ტიტული ზედიზედ მეორედ მოიპოვა.** ჩვენმა გუნდმა ზედმეტი დაძაბულობის გარეშე ითამაშა, რადგან, შედეგის მიუხედავად, გაისად ლისაბონშივე „მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფაზე“ ასპარეზობის უფლება განაღდებული ჰქონდა.

მესამე ადგილი ესპანელმა ახალგაზრდებმა დაიმსახურეს რუსების ძლევით — 40:23. საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: 1. საქართველო, 2. პორტუგალია, 3. ესპანეთი, 4. რუსეთი, 5. ჰოლანდია, 6. ბელგია, 7. რუმინეთი, 8. პოლონეთი.

ლაშა დიდია

◎ ხელგურთი

საგზურის ბედი ლუქსემბურგის ხელშია



ხელბურთელ ვაჟთა 2018 წლის ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპის განმეორებითი მატჩი. თბილისი. სპორტის სასახლე.

საქართველო-ესტონეთი 29:27 (15:14).

საქართველო: შოთა თევზაძე, გიგა ტორონჯაძე, გიორგი გვაზავა, უჩა გამზარდია, ზურიკო სიმონია, სერგო დათუკაშვილი (1), ვლადიმერ რუსია (8), ირაკლი ჩიქოვანი (6), თეიმურაზ ორჯონიკიძე, უჩა მაისურაძე, რობერტ ბეჟანიშვილი, შოთა გრიშიკაშვილი (1), რევაზ ჭანტურია (4), რატი მსხვილიძე (6), ილია გოგალაძე (3). **მწვრთნელები:** ირაკლი კეკელიძე, ბექარ ორჯონიკიძე, როლანდ ერაძე.

ესტონეთი: მარიუს ალექსეევი, მიკ პინონენი (7), მარკო სლასტინკოვსკი (3), კრისტიან მუუგა (2), მარიუს ლეპი, მარტინ იოჰანსონი (3), ჰენრი სილასტე, ანდრის ცელმინსი, დენის ლუუკენე, ჰენრი ჰიიენდი, კარი რუუსნა (4), კრისტო იარვე, სიიმ პინონენი, კასპარ ლეესი (2), კრისტო ვოიკა (4), არმი პარტი (2). **მწვრთნელები:** რეინ სუვი, იანუს რატსერი, მარგუს პარტსი.

მსაჯები: ანგელოს არგირიდისი, ხრისტოს მუტასი (ორივე — კვიპროსი).

დელეგატი ისკანდერ ასგაროვი (აზერბაიჯანი).

ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ეტაპზე მეორე ჯგუფში სამი გუნდი იბრძვის პლეი ოფის ერთადერთი საგზურისთვის — საქართველო, ესტონეთი და ლუქსემბურგი. ტალინში პირველი შეხვედრის წაგების (26:28) შემდეგ გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში ჩვენი ხელბურთელები რევანშის წყურვილით გავიდნენ მოედანზე და მცირერიცხოვანი ქომაგების მხარდაჭერით თავიდანვე აქტიურად შეუტიეს სტუმრების კარს. არც იყო გასაკვირი — მასპინძლებს პაექრობა 3 ბურთის უპირატესობით მაინც უნდა მოეგოთ, რომ თავი ქუდში ჰქონოდათ. მატჩის მსვლელობისას ჩვენებმა ანგარიშში რამდენჯერმე სასურველ სხვაობას მიაღწიეს, მეტიც, საფინალო სასტვენამდე სამიოდე წუთით ადრე 4 ბურთითაც იყვნენ წინ, მაგრამ მატჩი მხოლოდ 29:27 მოიგეს და პლეი ოფში გასვლის რეალური შანსი სტუმრებსაც შეუნარჩუნეს. ახლა მთავარია, გაისად ლუქსემბურგს ვინ უფრო დიდი ანგარიშით მოუგებს. არც ისაა გამორიცხული, ლუქსემბურგმა ორივე მეტოქე გააწბილოს.

ჩვენები მას აპრილის ბოლოს (შინ) და 3 მაისს (სტუმრად) ეთამაშებიან, ესტონელები კი 10 (სტუმრად) და 13 ან 14 ივნისს (შინ) შეხვდებიან.

ლექსო ცინცაძე

სურათზე: უტევს ვლადიმერ რუსია.

◎ ჭადრაკი

ქართველები – ელიტაში

ტრადიციისამებრ, ფიდემ სანოემბროდ მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკეთა რეიტინგები გამოაქვეყნა. რჩეულთა ათეულებისა და ჩვენებურთა მაჩვენებლები ასეთია:

ქალები. იუდით პოლგარი (უნგრეთი, 2675), ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2673), ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2582), ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 2581), ნანა ძაგნიძე (საქართველო, 2570), ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 2545), ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2541), კატერინა ლაგნო (რუსეთი, 2530), მარია მუზიჩუკი (უკრაინა, 2529), ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა, 2525)... 17. ბელა ხოტენაშვილი (2486), 29. სალომე მელია (2473), 39. ნინო ხურციძე (2451) 42. ნინო ბაციაშვილი (2442), 80. სოფიკო გურამიშვილი (2388), 84. მერი არაბიძე (2378). 94. მაია ლომინეიშვილი (2364).

ვაჟები. მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2863), ფაბიანო კარუანა (იტალია, 2839), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2800), ლევონ არონიანი (სომხეთი, 2797), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2795), ანიშ გირი (ჰოლანდია, 2776), სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2770), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2764), სოუ ვესლი (აშშ, 2762)... 28. ბაადურ ჯობავა (2722). ქართველ ვაჟთაგან საუკეთესოთა ასეულში სხვა არავინაა.

ვაჟა ნოსირელი

დებიუტი მეოთხე ადგილით

ტაშკენტში დამთავრდა მოჭადრაკე ვაჟთა ფიდეს გრან პრის 2014-2015 წლების გათამაშების მე-2 ეტაპი, რომელშიც წარმატებით ითამაშა ამ შეჯიბრების დებიუტანტმა, ქართველმა დიდოსტატმა ბაადურ ჯობავამ. ჩვენებურმა 3 პარტია მოიგო, 6 შეხვედრა ყაიმით დაასრულა და მხოლოდ ორ მეტოქესთან დამარცხდა. საბოლოოდ მან 6 ქულა მოაგროვა და მეოთხე-მეშვიდე ადგილები გაიყო.მას უკეთესი კოეფიციენტით მე-4 ადგილი ერგო. შეგახსენებთ, რომ გრან პრის სამი ეტაპის შედეგების ჯამით გამარჯვებული დაფნის გვირგვინისთვის მსოფლიოს ჩემპიონს დაუპირისპირდება.

ტაშკენტის რაუნდის საბოლოო შედეგები: დმიტრი ანდრეიკინი-7, შაჰრიარ მამედიაროვი, ჰიკარუ ნაკამურა — 6,5-6,5, ბაადურ ჯობავა, მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი, სერგეი კარიაკინი, ფაბიო კარუანა — 6-6, თეიმურ რაჯაბოვი — 5,5, ანიშ გირი — 5, დმიტრი იაკოვენკო — 4,5, რუსტამ კასიმჯანოვი, ბორის გელფანდი — 3,5-3,5 ქულა.

მესამე ეტაპს გაისად თბილისი უმასპინძლებს.

გივი გაგუა

◎ რაგბი

„ყოჩების“ შვიდიდან შვიდი

საქართველოს მორაგბეთა ერთიანი ჩემპიონატის მე-7 ტურში ცენტრალური მატჩი გაიმართა — ქვეყნის ჩემპიონი თბილისის „ლელო“ წლევანდელი გათამაშების ლიდერ ბოლნისის „ყოჩებს“ დაუპირისპირდა. პაექრობა დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. თავიდან „ლელო“ უფრო აქტიურად თამაშობდა და ირაკლი ყიასაშვილმა ორი ზუსტი საჯარიმო დარტყმით ჩემპიონი დააწინაურა — 6:0. „ყოჩებმა“ მალევე შეძლო ძალების მობილიზება და ოთხი უნაკლოდ შესრულებული საჯარიმო დარტყმით უპასუხა. 12:6 — ასე დასრულდა პირველი ტაიმი. შესვენების შემდეგაც „ყოჩების“ უპირატესობა აშკარა იყო და ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა გათამაშების ცხრილში ზედიზედ მეშვიდე გამარჯვება ჩაიწერა — 21:12.

მე-7 ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა: „ხარები“-„ჯიქი“ 14:6, „თიბიეს“-„არმაზი“ 14:26, „არმია“-„ლოკომოტივი“ 16:12, „ბათუმი“-„აია“ (გადაიდო).

თამაზ პატარაია

სატურნირო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
„ყოჩები“	7	7	0	0	+79	29
„ხარები“	7	5	1	1	+61	24
„ლელო“	7	3	2	2	+5	16
„ლოკომ“	6	3	0	3	+12	15
„ჯიქი“	7	3	1	3	-18	15
„არმია“	7	3	0	4	-39	14
„არმაზი“	6	3	0	3	+8	14
„აია“	6	2	0	4	-19	11
„ბათუმი“	6	2	0	4	-19	10
„თიბიეს“	7	0	0	7	-70	3

◎ ფეხბურთი

აქეთურ-იქითური

XXVI ეროვნული ჩემპიონატის XI ტური. „ტორპედო“ — „დინამო“ 1:2, „ცხინვალი“ — „სიონი“ 2:1, „კოლხეთი“ — „სამტრედია“ 0:0, „ვიტ ჯორჯია“ — „ზესტაფონი“ 2:3, „დილა“ — „მეტალურგი“ 3:2, „ბათუმი“ — „ჩიხურა“ 0:0, „ზუგდიდი“ — „გურია“ 2:1, „მერანი“ — „შუქურა“ 1:0.

სატურნირო მდგომარეობა: „დინამო“ — 26, „ცხინვალი“ — 20, „დილა“, „სამტრედია“ — 18-18, „მეტალურგი“ — 16, „მერანი“, „ტორპედო“, „ჩიხურა“ — 15-15, „ზესტაფონი“, „გურია“, „ბათუმი“ — 14-14, „ვიტ ჯორჯია“, „შუქურა“ — 11-11, „კოლხეთი“, „ზუგდიდი“ — 10-10, „სიონი“ — 9 ქულა.

* * *

იტალია. „ნაპოლი“ — „რომა“ 2:0, „ემპოლი“ — „იუვენტუსი“ 0:2, „მილანი“ — „პალერმო“ 0:2.

ესპანეთი. „ბარსელონა“ — „სელტა“ 0:1, „გრანადა“ — „რეალი“ 0:4, „ვილიარეალი“ — „ვალენსია“ 1:3.

ინგლისი. „სიტი“ — „მანჩესტერი“ 1:0, „ჩელსი“ — „ქუინზ პარკ რეინჯერსი“ 2:1, „არსენალი“ — „ბარნლი“ 3:0.

გერმანია. „ბაიერნი“ — „ბორუსია“ 2:1, „ჰამბურგი“ — „ლევერკუზენი“ 1:0, „გლადბახი“ — „ჰოფენჰაიმი“ 3:1.

საფრანგეთი. „მარსელი“ — „ლანსი“ 2:1, „ლორიენი“ — „პარი სენ-ჟერმენი“ 1:2, „მონაკო“ — „რეიმსი“ 1:1.

გიორგი შოთაძე

◎ ინტერნეტიდან

განაწყენებული ვალენტინა ძამბროტა

ვეტერანი იტალიელი ფეხბურთელის ჯანლუკა ძამბროტას მკერდგანიერი ცოლი ვალენტინა ძამბროტა კიდევ ერთხელ გახდა იტალიური ბულვარული მედიის ყურადღების საგანი. ვალენტინამ ამჯერად პროტესტის ნიშნად შესაძლებელია იტალიის პოლიტიკური სკანდალები გათქვას.



საქმე ისაა, რომ ჯანლუკა ძამბროტას პოპულარულ მეუღლეს იტალიის ერთ-ერთ ტელეარხზე საავტორო პოლიტიკური გადაცემა ჰქონდა, რომელიც საკმაოდ პოპულარული იყო, თუმცა ვალენტინა ვერ ხვდებოდა მისი გადაცემის პოპულარობა შინაარსმა გამოიწვია თუ მისმა სხეულის ფორმებმა.

ჰოდა, ტელეკომპანიამ არხის რეორგანიზაციის სახელით მისი გადაცემა დახურა, რამაც ვალენტინა ძამბროტა ძალიან გააბრაზა და ახლა იმუქრება, თუკი ჩემს გადაცემას არ აღადგენთ, ყველა პოლიტიკურ სკანდალს ერთად ვიტყვი და მერე მიყარეთ კაკალიო. ნეტა რა იცის ასეთი?!...

ვიტალი ჯაფარიძე

◎ კავშირგაბმულობა

გაგვიიაფდება ვითომ „ალო, ალო“?

მობილური სატელეფონო კავშირი ჩვენში, ისევე როგორც მრავალი სხვა რამ, იმაზე გაცილებით ძვირია, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობაში. და ამის ფონზე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომ ქვეყანაში მოქმედ მობილურ ოპერატორებს (მაგთიკომს, ჯეოსელსა და ბილაინს) ურთიერთჩართვის ტარიფი უმცირდება, ახლო მომავალში აბონენტთათვის მობილური კავშირგაბმულობის გარკვეული გაიაფების საუკეთესო წინაპირობად შეიძლება მივიჩნიოთ.

ამ გადაწყვეტილებით, 2015 წლის პირველი იანვრიდან ურთიერთჩართვის ტარიფი 5-დან 3,5 თეთრამდე უნდა შემცირდეს. ამასთანავე, ურთიერთჩართვის ახალი ტარიფის ამოქმედებამდე, სამივე ოპერატორ კომპანიას, მიმდინარე წლის დეკემბრამდე, საკუთარ ვებ-გვერდებზე შეცვლილი სატარიფო გეგმების გამოქვეყნებაც დაეკისრათ.

უნდა ითქვას, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მობილური კავშირის ოპერატორთა ურთიერთჩართვის ტარიფი რამდენჯერმე შეცვალა და, ამჟამად, უწინდელი 22,8-დან 3,5 თეთრამდე შეამცირა. ცალკეა აღსანიშნავი, რომ ამის გაკეთება ბაზრის საგულდაგულო კვლევის შედეგად გახდა შესაძლებელი. აქამდე სამივე ოპერატორისთვის ურთიერთჩართვის ხუთთეთრიანი ზედა ზღვრული ტარიფია დაწესებული.

„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის“ თანახმად, უფლებამოსილია ბაზრის შესაბამის სეგმენტზე გამოავლინოს მნიშვნელოვანი საბაზრო წილის მქონე ოპერატორები და თავისი გადაწყვეტილებით დაუკისროს მათ სპეციფიკური ვალდებულებები, მათ შორის, დაუწესოს ზედა ზღვრული ტარიფები“, — აღნიშნულია, კერძოდ, კომისიის გადაწყვეტილებაში.

აღსანიშნავია, რომ მობილური სატელეფონო კავშირის კომპანიებისთვის ურთიერთჩართვის ზედა ზღვრული ტარიფი, კომუნიკაციების კომისიამ ბოლოს შარშან დეკემბერში დაადგინა. მაშინ გადაწყდა, რომ წლევანდელი პირველი მარტიდან მაგთისა და ჯეოსელის ურთიერთჩართვის ტარიფები ერთ წუთზე, იმ დროისთვის დადგენილი 8 თეთრის ნაცვლად, 6 თეთრი ყოფილიყო, ბილაინისთვის კი, შესაბამისად, 11 თეთრის ნაცვლად — 7 თეთრი გამხდარიყო. მერე ის ნიხრი კიდევ ერთხელ შეიცვალა და 5 თეთრით განისაზღვრა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შარშანდელი მონაცემებით, რომლებიც ქვეყნის მობილური სატელეფონო კავშირგაბმულობის ბაზარს ეხება, **სამივე ოპერატორის ქსელებში მთლიანად 4 მილიონ 993 ათასზე მეტი აბონენტი იყო ჩართული.** ამ მხრივ ბაზრის ლიდერი მაგთიკომი იყო, რომლის ქსელში აბონენტთა 42,8 პროცენტი იყო ჩართული, ჯეოსელი ბაზრის 33,9 პროცენტის მფლობელი იყო, ბილაინი — 22,6 პროცენტის, ხოლო „ნაბოლარა“ სილქნეტის წილი, რომელიც კომუნიკაციების ბაზარზე სულ რამდენიმე წელია მოქმედებს, მხოლოდ 0,6 პროცენტია.

ისევე, როგორც მსოფლიოს, ფაქტობრივად, ყველა ქვეყანაში, მობილური სატელეფონო კავშირგაბმულობის ბიზნესის სხვადასხვა სახეობა — მობილურ და ფიქსირებულ ქსელებზე, ხმოვანი ზარების, SMS და MMS — შეტყობინებები, ინტერნეტი, სხვა დამატებითი მომსახურებები — უსწრაფესი ტემპით იზრდება. კერძოდ, შარშან საქართველოში მობილური ოპერატორების საცალო შემოსავალმა 453,4 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 7,1 მილიონი ლარით (1,5 პროცენტით) მეტია 2012 წელს მიღებულ შემოსავალზე.

ნინო ალექსანდრია

◎ წკეპლიკა

ნაციონალური მოძრაობის სათხუთმეტნოემბრო გამოსვლის საორგანიზაციო კომიტეტის განცხადება

მოძალაძენო! მოგახსენებთ, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია, და აი, მოგიწოდებთ: ჩამოდით თბილისში 15 ნოემბრის აქციაზე, მივუხტეთ და ვაგინოთ ხელისუფლებას, ქვეყნიერებას გავაგებინოთ, რომ ცოცხლები ვართ. ფულს და საკვებს ძველებურად დაგირიგებთ, ტრანსპორტითაც მოგემსახურებით, ოღონდ ჩამოდით, და რაც შეიძლება ხმამაღლა იყვირეთ: „მიშა მაგარია!“, აბა, თქვენ იცით!

ლონდა მდივანი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (თსსუ) იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება და თანაგრძნობას უცხადებს ინსტიტუტის თანამშრომელს ვაჟა ნებიერიძეს მამის

გელა ნებიერიძის

გარდაცვალების გამო.

თსსუ იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის სტეროიდულ ნივთიერებათა ლაბორატორია ღრმა სამძიმარს უცხადებს ვაჟა ნებიერიძეს მამის, უკეთილშობილესი პიროვნების

გელა ნებიერიძის

გარდაცვალების გამო.

თენგიზ, ქეთინო ქავთარაძეები სამძიმარს უცხადებენ მეგი და ბაია ქავთარაძეებს მეუღლისა და სიძის

თამაზ ავთანდილის ძე პაიჭაძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თენგიზ, ქეთინო ქავთარაძეები სამძიმარს უცხადებენ გრიშა და ნინო ონიანებს მეუღლისა და დედის

ლიანა შალვას ასული იამანიძე-ონიანის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

◎ ინფორმაცია

ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩას სახელი გადაერქმევა

თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩის ნაწილისა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩას ბერი გაბრიელის სახელი მიენიჭა.

საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის ლია ჯახველაძის ინფორმაციით, ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელი ეწოდა საბურთალოზე, იპოდრომთან მდებარე ერთ-ერთ ახალ გზატკეცილს.

„მოგახსენებთ, რომ აღნიშნული გამზირისათვის ბერი გაბრიელის სახელის მინიჭების თხოვნით საკრებულოს წმინდანის დამ და ასევე სამი ათასზე მეტმა ადამიანმა მიმართა. ქუჩას, სადაც ბერი გაბრიელი ცხოვრობდა, მისივე სახელი უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევითა და საკრებულოს დახმარებით დაერქვა და იქ მალე ტაძარიც აშენდება.

საკრებულოს დეპუტატებს გვსურდა ქაქუცა ჩოლოყაშვილისთვის პატივი მიგვეგო და მისი სახელის უკვდავსაყოფად შეგვერჩია ისეთი ადგილი, რომელიც შეაკისროს მათ სპეციფიკური ვალდებულებები, მათ შორის, დაუწესოს ზედა ზღვრული ტარიფები“, — აღნიშნულია, კერძოდ, კომისიის გადაწყვეტილებაში.

ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელი გადაერქმევა ახალ გზატკეცილს

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ კანონის — ამბობს ეროვნული კომისიის ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი ანა ბერაია. — **ეროვნული კომისიის ბოლო ანალიზი ბაზრის ანალიზის ბაზარზე

◎ დედაქალაქი

„თანამედროვე ფეჯინების“ მსხვერპლნი



ცოტა ხნის წინათ, მასმედიის რამდენიმე გამოცემაში, სატელევიზიო და რადიოეთერში, თითქმის ერთდროულად გაჩნდა ცნობა შემზარავი ფაქტის შესახებ: რამდენიმე მოზარდმა უპატრონო კატა ცოცხლად ხეზე მიაჭედა და შემდეგ კარგა ხანს თავიანთი „ნახელავით“ ტკბებოდა.

პრეცედენტი, ბუნებრივია, ბავშვთა, მოზარდთა, ზოგადად ახალგაზრდა თაობის ერთი ნაწილის სრულიად ამაზრზენ სისასტიკესა და დაუნდობლობაზე, მის ფესვებსა და ბრძოლის ხერხებზე მსჯელობის საბაბი გახდა.

ამ პროცესში, ცხადია, მშობლებიც, ახლობელ-ნათესავებიც, მეზობლებიც, პედაგოგებიც და სამართალდამცავებიც, უწინარესად, უბნის ინსპექტორები უნდა იყვნენ ჩართულნი, თუმცა კი, ბევრს იმის თქმა დაავიწყდა, რომ მოზარდები, უმეტესწილად, უფროსების დარად, კინოსა და ტელევიზიების სხვადასხვა არხით ნანახის მიბაძვით იქცევიან. ცოტა ხანში, ტელეეთერში აბეზარი რეკლამის საათობრივი შეზღუდვა დაწესდება – მაუწყებლებს საათში 12 წუთზე მეტი ხნის განმავლობაში რეკლამის ჩვენება აეკრძალებათ, ამ საკითხზე ახლა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული მარეგულირებელი კომისია მუშაობს. ასეთივე შეზღუდვების დაწესება, ჩვენი აზრით, სისასტიკის სცენების ამსახველ კინო და ტელესიუჟეტებში უნდა დაწესდეს, თუმცა კი, ნურავინ იფიქრებს, რომ ცენზურის დაბრუნების მომხრენი თუნდაც გაფიქრებით ვიყოთ.

ამ თემის ერთგვარი გაგრძელებაა თბილისის ქუჩებში უსაშველოდ მომრავლებული სულიერად ავადმყოფი მათხოვრები, ანდა ისეთები, რომლებსაც მათი „პატრონები“ ჯერ შეგნებულად ბანგავენ, შემდეგ კი ხალხის გულის ასაჩუყებლად შიშველტიტვლებს ქუჩაში ძონძებზე აგდებენ, თუმცა კი ფულის ჩასაყრელი თასების დადგმა, მათი დროდადრო „რევიზია“ და შემდეგ „ობიექტის“ „ფარეხში“ ტრანსპორტირება ჯანიანი ჯეელების საქმეა, რასაც დიდი გულმოდგინებით ასრულებენ.

ბევრს ახსოვს ასეთი მათხოვრები რუსთაველისა და თავისუფლების, ასევე მარჯანიშვილის მოედნების მეტროს სადგურებთან, ახლახან ასეთი უბედური „ტარზანი“ პეკინის ქუჩაზე გამოჩნდა...

კარგად გვესმის, რომ საპატრულო პოლიციას აუარება საქმე აქვს, ქალაქში წესრიგსა და ხალხის უსაფრთხოების უზრუნველყოფა უწინარესი ამოცანაა, მაგრამ თუკი ცხოველთა მიმართ სასტიკი მოპყრობა საზოგადოებრივად რეზონანსული ამბავია, მაშ, ადამიანთა მიმართ ასეთივე დამოკიდებულებაზე პასუხი არავინ უნდა აგოს? ანდა ვინ, თუ არა პოლიციამ, უნდა მოსთხოვოს ჩარლზ დიკენსის უკვდავი რომანის „ოლივერ ტვისტის თავგადასავლის“ ცნობილი ამაზრზენი პერსონაჟის დარ „თანამედროვე ფეჯინებს“ პასუხი ადამიანის უფლებათა დარღვევისთვის? განა მათ საზოგადოებრივი მზრუნველობა და დაცვა „ლგბტ გოგოებიჭებზე“ ნაკლებად სჭირდებათ?

ოთარ ტურაბელიძე
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

◎ მკურნალი წინდები

ფეხების ტკივილი გაწუხებთ?

თურქეთის ლიცენზირებული ფირმა „POLAT“-ი ფეხების ტკივილისგან თავის დასაღწევად უნიკალური თვისებების მქონე სპეციალურ წინდებს გთავაზობთ.



ყველა ტიპის დიაბეტის, გულის სისხლძარღვთა და კანის სხვადასხვა ინფექციით გამოწვეული ფეხის დაავადებათა მკურნალობისას საგანგებო წინდები შეუცვლელი და უებარი საშუალებაა! ასეთი წინდები მისწრებაა იმათთვის, ვისაც ხანგრძლივი დროით ფეხზე დგომა ან გადაადგილება უწევს, აქვს კოჟრები, სოკოვანი დაავადებები, ოფლიანობა და სპეციფიკური სუნი!

წინდები ჩვეულებრივად ნელ-თბილ წყალში ირეცხება, მიზანშეწონილია მათი მთელი დღე-ღამის განმავლობაში ტარება.

შესაძენად დარეკეთ 299-62-77 (გ. ახვლედიანის 19), იკითხეთ კუკური.

◎ ჩვენი კარაბადინი

როგორ იცავენ ცხოველები ადამიანებს

ცნობილია, რომ ინსტინქტი უკარნახებს ცხოველს, დაიცვას თავისი გუნდის წევრები. მაგრამ ზოგჯერ ხდება მართლაც წარმოუდგენელი შემთხვევებიც.



ძაღლი

ინგლისში ლაბრადორმა თავისი დიასახლისი გადაარჩინა, „აიძულა“ იგი, მიემართა ექიმისთვის. ექიმმა მას აღმოუჩინა მკერდის კიბო საწყის სტადიაში იმ სარძევე ჯირკვალში, რომელსაც რეგულარულად და ხშირად უსვამდა ხოლმე ძაღლი თავის თათს.

* * *

ოთხფეხა მეგობარმა ნიუ-იორკში თავისი უსინათლო პატრონი გამოიყვანა მსოფლიო სავაჭრო ცენტრიდან, რომელმაც ნგრევა დაიწყო და სადაც ყველა იქ მყოფი პანიკამ მოიცვა. ძაღლი ნელა, მაგრამ სწორად ჩამოდიოდა სართულიდან სართულზე, სანამ არ გადმოვიდა აფეთქებული ცათამბჯენიდან.

კუ

ფილიპინებზე ერთ-ერთი ადგილობრივი ბორანის ჩაძირვის დროს დაიხრჩო ყველა მგზავრი. გადარჩა მხოლოდ ერთი ქალი, რომელიც უგრძნობლად იყო, ის გამოიყვანა თავისი ჯავშნით უზარმაზარმა კუმ. როგორც შემდეგ გადარჩენილმა თქვა, ის მანამდე ერთობ რეგულარულად კვებავდა ხოლმე ადგილობრივ კუებს.

კატა

ველური კნავილით დაესხა თავს ცხოველი ორ მძარცველს, რომლებიც ცდილობდნენ, ხელიდან წაერთმიათ ნოუთბუქი პატრონისათვის, ინვალიდის სავარძელში რომ იჯდა სუფთა ჰაერზე თავისი სახლის წინ. კატა ისეთი თავგანწირვით ფხაჭნიდა და კბენდა თავდამსხმელებს, რომ ქურდები იძულებული გახდნენ, წასულიყვნენ.

გორილა

ჩიკაგოს ზოოპარკში გორილების ვოლიერში 3 წლის ბავშვი ჩავარდა. დარტყმისგან მან გონება დაკარგა და, თითქოს შეუძლებელი იყო მისი გადარჩენა ცხოველებისგან. მაგრამ აქ ერთ-ერთმა დედალმა მაიმუნმა მიყარ-მოყარა თავდასხმისთვის წამოსული თანამოძმენი, ჩაიკრა გულში უსუსური ბავშვი და გალიიდან გამოსასვლელისკენ წაიყვანა, სადაც იგი ცხოველების მომვლელმა ჩამოართვა. საინტერესოა, რომ მალე ამ კეთილი ქცევის შემდეგ გადამრჩენელს შვილი გაუჩნდა.

სპილო

10 წლის წინათ ტაილანდში დამანგრეველი ცენამის დროს სპილომ 8 წლის გოგონა გადაარჩინა. მან არა მხოლოდ შეძლო გამოეტაცა იგი ტალღიდან ხორთუმით, არამედ მიცურდა ბექობამდე, სადაც იცავდა ბავშვს თვისი სხეულით. გადარჩნენ გოგონაც და მისი გადამრჩენელიც და მას შემდეგ ისინი თითქმის აღარ დაშორებიან ერთმანეთს.

ЗДОРОВЬЕ

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— გუშინ დაშასთან ვკოცნაობდი!
— აი, ყოჩაღ! რად გვატყუებდი, არა ვსვამო?

* * *

— გამარჯობა, კარგა ხანი არ ჩანდი.
— ისრაელში ვიყავი, გოდების კედელთან.
— ღმერთს ბარათი დაუტოვე, არა?
— ჰო, დამაგვიანდებამეთქი.

* * *

— ეძიმო, ვერ გამიგია, ჩემი ქმარი მიყვარს თუ არა, — ეუბნება ქალი ფსიქოთერაპევტს.

— **რატომ** გეპარებათ ამაში ეჭვი?
— იმიტომ, რომ სქესის დროს მუდამ არ ვფიქრობ მასზე.
— აბა, ვისზე ფიქრობთ?
— იმაზე, ვისთანაც იმ მომენტისთვის მაქვს სექსი.

* * *

— მიხო, საბჭოთა ჯარში მსახურობდი?
— არა, არ წამიყვანეს...
— რატომ არ წაგიყვანეს?
— ვერ მიპოვეს...

* * *

— რატომ ცხოვრობ ასეთ ზარმაცი ცოლთან?
— მეზარება ახლის ძებნა.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24